

ლიტერატურული გაზეთი

ქეთევან ნათელაძე

ბამომრიყავენ

რიყრაყი, ის დრო, როცა თენდება
და ირევიან წყალთან ნისლები...
დრო გაჩერდება და გაშტერდება
ჩემი ტკივილის გათავისებით.

ცივი იქნება ღამით ტალღები,
ცა მთვარის შუქსაც დაღვრის მუჭებად,
წყლის თეთრ ყვავილებს ლურჯი თვალები
ჩემს ცივ მკლავებზე დაეხუჭებათ.

აყეფდებიან დილით ძაღლები,
გული იმ დილას უკვე იყვარებს...
...შენ ნუ იდარდებ, მე ეს ტალღები
სულ სხვა ნაპირზე გამომრიყავენ...

IV-V

პაატა შამუგია

ხედვის კუთხა

პეტრე ვერაფერს ხედავს ცხვირსიქით,
პავლეც ვერაფერს ხედავს ცხვირსიქით,
ვერ შველის ამა საქმეს სათუოს
ვერც ცხვირსაბნევი, ანუ პირსინგი.

ისმება კითხვა: ასეთი ვინმე
არის რაიმეს ხილვის ღირსი კი?!
მაგრამ პასუხად იმათი მზერა
ველარ აუდის სივრცეს ცხვირსიქით.

ღმერთო, მოჰმადლე უვრცესი მზერა,
რომ გაიხედონ ცხვირის გადაღმაც,
ან დაუგრძელე ცხვირები ისე,
რომ სუყველაფრის შეძლონ დანახვა,

P.S. მათ შორის ჩემი ორასი ლარის,
დავინყებიან რომლის გადახდაც.

V

ბესო ხვედელიძე ღამის გუშაგები

ფინური კოტეჯის სხვენში ფიჭვისა და
ძველი ნიგნების სურნელი იდგა. სახურ-
ავის ღრიჭოდან შემოპარული დილის მზის
სხივი ობობის ნაქსოვ აბლაბუდას აბრჭ-
ყვიალებდა.

— დღეს რა ხდებოდა? — იკითხა მფრი-
ნავმა მიშამ და გვერდით მყოფ მო-
ქანავეებს გახედა, — ჩემი კაი სერიალივ-
ით ღამე იყო...

ღამბაშიძე და მურადოვი დაღლილები
კი თვლემდნენ, მაგრამ მიშას ხმის გაგ-
ონებაზე ერთდროულად მოცოცხლდნენ.

— სექსები დაიდო? — იკითხა ნამძ-
ინარევი ხმით ღამბაშიძემ.

— თინი ისევ ქმარს ეჩხუბა... — გაელი-
მა მიშას.

— ეგ რომელია?

— მესამეზე...

— აუ, ეგ რა კლიმაქსიანი ოჯახია! —
ამოიოხრა მურადოვმა, — სუ ჯღნავიან!

— სანოლ ოთახში უცხო საყურე უპ-
ოვია თინის და ავთო კიდე ატკაზზე გადიო-
და... — განაგრძო მიშამ, — ჩემი არ არი-
სო...

— ეგ რა გაგებაა?.. — დაფიქრდა მურა-
დოვი.

— ევროატლანტიკური... არა აქვთ სიყ-
ვარული და ოცდახუთი წელია, ძალით ყრ-
იან ერთად... საბჭოთა სისტემის მსხვერპ-
ლი ქანჭიკები! ორივე ცუდად უბერავს...
შვილი ყავთ ჯიგარსონი... დადის ჩამოხეუ-
ლი პროტესტის ნიშნად. უსმენს ტომ იორკს
მთელ ხმაზე და აქვთ ეკაიფება ორივეს!

— ნაბოზრობაა ეგ! — ამოიხვნეშა ღამ-
ბაშიძემ.

— ვერაფერი გავიგე... — გაქანავდა მუ-
რადოვი.

— ახალ თაობას რას გაუგებ!

VI

თემურ გაბუნია უმბერთო ეკოზა

სოფო ნულაია

ცოტნე ავსაჯანიშვილი

ლადო კილასონია ისააკ ბაბქელჯი

სალომე ელბაქიძე როსტომ ჩხეიძე

ზაალ სამადაშვილის საყმანვილო ამბავი

მაკა ცხვედიანი ბასტონის კრეპერია

თვალეზგადმოკარკლულ ვეება ქარიყლაპიაზე მიცვალეზული
ითქმის, ღმერთებო? თევზის ბაზარი სასაფლაოა მწკლარტე გვამე-
ბით?

მიდიებს ვყიდულობ, ერთ კილოგრამს. იქვე, ბაზარს მიდგმულ
რესტორანში, მომიხარშავენ.

— ღვინოს უმატებთ? — ვეკითხები.

— ცოტას, ერთ კოფეს ჭიქას.

საკურორტო ქალაქები ისეთ განცდას აჩენს, თითქოს მომსახ-
ურე პერსონალი მოსწრებაზეა, რომ დამსვენებლებთან კომუნიკა-
ცია მოასწროს; რომ კომუნიკაციის ეს შესაძლებლობა სეზონური
უპირატესობაა და უნდა დაეშუროს. თითქოს წლიდან წლამდე,
საკურორტო სეზონიდან სეზონამდე, აგროვებენ ამბებს, ხუმ-
რობებს, რომ ჩვენს ინტერესსა და ღმილს ეღიროს. ამიტომ უბრა-
ლო კითხვას: „ღვინოს უმატებთ?“ ორმოცდაათ წლამდე ფუმფულა
ლუიზა ისე აღიქვამს, როგორც შემწყნარებლობის უმაღლეს გამ-
ოვლინებას და მზადაა, ის კოფეს ჭიქაც გამომიტანოს ზომის დასა-
ზუსტებლად.

VII

ახალი ეთიკა

ჟურნალ Liberal-ში გამოქვეყნებული წერილიდან „როცა სცენაზე გამოდის სხვა, იბადება ეთიკა“ მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ იოლი არ უნდა ყოფილიყო უმბერტო ეკოს მიერ განვლილი გზა კათოლიკური მსოფლმხედველობიდან საერო მსოფლმხედველობამდე. თურმე ოცდაორი წლის ასაკამდე მას ღრმად აჩნდა კათოლიკური აღზრდის კვალი. მხოლოდ მოგვიანებით ჩამოუყალიბდა ახალი მსოფლმხედველობა — „დიდი ტანჯვის შედეგად მიღებული, ნელი და ხანგრძლივი ცვლილებების ნაყოფი“. ამ ახალ ხედვას მწერალი „საერო რელიგიურობას“ უწოდებს. მისი აზრით, მორწმუნესა და არამორწმუნეს ბევრი რამ აერთიანებს: სინდისის ქენჯნა, შორეულ მომავალზე პასუხისმგებლობა, საერთო ეთიკა... მეტიც, სიკვდილის შემდეგ თითქოს რაღაც ახალი სიცოცხლის არსებობის შეგრძნება თვით ათვისებდაც შეიძლება, გაუჩნდეთ. ეკოს სულის არსებობის შესახებაც თავისებური წარმოდგენა აქვს. „ვინ იცის, იქნებ სიკვდილი ჩაქრობა კი არა, აფეთქებაა, სადაც სამყაროს მორევთა შორის, ცხოვრების მანძილზე ჩვენ მიერ შემუშავებული რაღაც software, რომელსაც ზოგიერთები სულს უწოდებენ და რომელიც ჩვენი პირადი მოგონებების, სინანულისა და განუკურნავი ტანჯვის, ან შესრულებული მოვალეობის გამო სიმშვიდის შეგრძნებისა და სიყვარულისგან შედგება.“

ამრიგად, ეკოს მიაჩნია, რომ შესაძლებელია, ქრისტეს რწმენის პარალელურად არსებობდეს ტრანსცენდენტულობის რწმენა და „მასზე დამყარებული ეთიკის პრინციპები, რომლებიც რაღაც თვალსაზრისით ყველა ადამიანისთვის საერთოა (მნიშვნელობა არ აქვს ქრისტიანი იქნება, მუსლიმი თუ ათეისტი. რწმენათა კონფლიქტში კი სიყვარულმა და კეთილგონიერებამ უნდა გაიმარჯვოს).“

ქრისტიანული და საერო ეთიკის სინთეზზე საუბრობს ემანუელ სვეერინი (თანამედროვე იტალიელი ფილოსოფოსი) წერილში „ტექნიკა ყოველგვარი სინთეზის დაისა“. მას ადამიანის მხსნელად ტექნიკური პროგრესი მიაჩნია, რომელსაც უზენაესის თვისებებს მიაწერს. უფრო რადიკალურია მანლიო ფალკამბროსი (იტალიელი მწერლისა და ფილოსოფოსის) პოზიცია, რომელიც უარს ამბობს, აღიაროს „ონტოლოგიურად მარადიულ ურთიერთუწყობაზე დამყარებული ღმერთი“. მსგავს მსჯელობას უზენაესის, სულისა და ეთიკის შესახებ რელიგიური შეხედულებების დამახინჯებამდე ან სრულ იგნორირებამდე მივყავართ. თითქოს აბსოლუტი კი არაა ყველაფრის წარმმართველი, არამედ რაღაც ბიოლოგიური პირველწყარო, რომელიც ადამიანის გონებიდან და ინსტინქტებიდან მომდინარეობს.

ბუნებრივია, კარდინალი მარტინი ვერ დაეთანხმებოდა იტალიელი მწერლების, ფილოსოფოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ ჟურნალში გამოთქმულ მოსაზრებებს. 1996 წელს ის წერს საპასუხო შემაჯამებელ წერილს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ეთიკის საკითხებისადმი დაკავშირებულ ზოგიერთ უბუბლიკაციაში იგრძნობა „ქრისტიანული მოძღვრებისა და ტრადიციის ერთი ხელის მოსმით გამარტივების მცდელობა“.

დისკუსიაში კარდინალი დოსტოევსკის გამოხატულებას იმეორებს: „თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია“ და მიაჩნია, რომ ამ სიტყვებში უდიდესი სიბრძნეა, რადგან „მორალი მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობებს კი არ არეგულირებს, არამედ ტრანსცენდენტურ განზომილებებსაც მოიცავს“.

კარდინალი არ ეთანხმება მათ, ვინც ცდილობს, „ზნეობრივი გამოცდილება ძირითადად ხორციელ ცხოვრებასა და ინსტინქტებზე დაყვანოს“, რადგან, მისი აზრით, თვით წარმართი გმირების საცივლის ახსნაც კი არ შეიძლება ეგრეთ წოდებული „სახეობის გადაარჩენის ინსტინქტი“. ეთიკა და მორალი მხოლოდ ტექნიკურ პროგრესსა და ინსტინქტებზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ცვალებადი იქნებოდა. კარდინალს კი მიაჩნია, რომ „მორალის არსი და მისი მთავარი ღირებულებები დროის მიხედვით არ იცვლება. გადახედვას არ ექვემდებარება არც მცნება-

თემურ გაბუნია

საერო რელიგიურობა

XX საუკუნის მიწურულს ჟურნალ Liberal-ის რედაქციამ დასვა ასეთი შეკითხვა: „რა სწამს მას, ვისაც არაფერი სწამს?“ ამ შეკითხვას მოჰყვა გამოხმაურებები 1995-96 წლებში უმბერტო ეკოს, კარდინალ კარლო მარია მარტინისა და გამოჩენილი იტალიელი ფილოსოფოსების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან.

აღნიშნული დისკუსია მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს მრავალი კუთხით, განსაკუთრებით კი უმბერტო ეკოს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების თავისებურებებში უკეთ გასარკვევად.



ში ჩადებული „ადამიანის მორალის ძირითადი სჯულდებაც“.

წერილის დასასრულს კარდინალი გვაფრთხილებს იმ საცდურზე, ახალგაზრდებს რომ ემუქრება „თავისუფლების სახელით“. მას სურს, ვისაუბროთ „ბოროტების საიდუმლოებებზე“, რათა უკეთ შევიცნოთ სიკეთე და დავიცვათ ახალგაზრდობა „სიკეთითა და თავისუფლებით“ შენიღბული ბოროტებისგან.

ქრისტიანულ საიდუმლოთა შესახებ

ეკო კარდინალ მარტინისთან დისკუსიისას ნამოჭრის საკითხს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებაც. მას უჩნდება კითხვა, რატომ არ შეიძლება კათოლიკურ ეკლესიაში ქალის მღვდლობა?

„ხომ უეჭველია, რომ ქრისტემ მამაკაცთა და ქალთათვის ერთნაირად გასწირა თავი; რომ ეპოქის წეს-ჩვეულებათა სანაღმდეგოდ უდიდესი პრივილეგიები მიანიჭა თავის მღვდრობითი სქესის მიმდევრებს; რომ აღდგომის შემდეგ ქრისტი პირველად სწორედ ქალებს გამოეცხადა. განა ეს ყველაფერი ცხადი მინიშნება არაა იმაზე, რომ ქრისტემ, თავისი დროის კანონების სანაღმდეგოდ, და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მკაფიოდ მიგვიტოვა სქესთა თანასწორობაზე, კანონებისა და ისტორიული ადათ-წესების მიმართ და პირისპირებით თუ არა, ღვთის ნების თვალსაზრისით მაინც?“

კარდინალი აღნიშნულ კითხვას მოზომილად და დელიკატურად პასუხობს 1995 წელს ჟურნალ Liberal-ში გამოქვეყნებულ წერილში „ეკლესია სურვილებს კი არ აახდენს, საიდუმლოებებს აღასრულებს“. მისი პასუხი მოკლეა, თუმცა იმდენად ყოვლისმომცველი, რომ შეიძლება, კაცმა იფიქროს, უკანასკნელი საუკუნეების მწერლობას აანალიზებდეს. როგორც ცნობილია, XIX-XXI საუკუნეების ლიტერატურაში გაჩნდა რაღაც ახალი ზოგადსაკაცობრიო ეთიკის გამოგონებისა და რელიგიების სინთეზირების ტენდენცია, დაუნდობლად აშარჟებდნენ ცხოვრების ქრისტიანულ წესს, უღირს სასულიერო პირებს, ღვთისმსახურთა ფანატიზმსა და გონებაშეზღუდულობას. თუმცა რატომღაც გვერდს უვლიდნენ უმთავრესს — საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულების საკითხს. მაზიარებელი მღვდელი შეიძლება, იყოს ცოდვილი, გონებაშეზღუდული, გაუნათლებელი, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი,

ძვირადღირებული ჯიბის მფლობელი, ჩასუქებული ან გრძელცხვირა, მაგრამ ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, რელიგიური თვალსაზრისით, უშუალოდ მღვდელი კი არ ასრულებს აღსარებისა და ზიარების საიდუმლოს, არამედ — მისი მფარველი ანგელოზი. ასე რომ, მზიარებელი არანაირად ბრკოლდება, თუკი გულწრფელია სინანულში. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ფოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ ერთ-ერთი ეპიზოდი მდიდარი ებრაელი ვაჭრის, აბრაამის, შესახებ, რომელიც რომში მიდის სასულიერო პირთა უკეთ გასაცნობად. აბრაამი გააოცა სამღვდლოების ზნედაცემულობამ. ისინი „გარყვნილების მორევში ცურავდნენ: არა მარტო ბუნებრივ ცოდვებს ჩადიდდნენ, სოდომურსაც ეწყობოდნენ“, „გაუმადლარნი და ლოთნი“ იყვნენ, ავზორცები, ძუნები და ვერცხლის მოყვარენი, ურცხვად ყიდდნენ საეკლესიო თანამდებობებს. პარიზში დაბრუნებულმა აბრაამმა მეგობარ ჯანოტოს მოუთხრო, რაც ხახა. მისი აზრით, ის გაიძევებოდა ყოველნაირად ცდილობდნენ, დედამიწის პირიდან აღეგავათ ქრისტიანობა, თუმცა რაღაც სასწაულით სარწმუნოება მაინც ძლიერდებოდა და „დიდებით ირჭებოდა“. აბრაამს მიაჩნდა, რომ სულიწმინდა იყო ამის მიზეზი და საძირკველი, ამიტომ მზად იყო, მონათლულიყო. იუდეველი ვაჭარი მიხვდა, რომ უღირსი სამღვდლოება ვერ დააბრკოლებდა ცხოვრების მსურველს და რომ ნათლობით უნდა განწმენდილიყო. საგულისხმოა ისიც, რომ საიდუმლოთა აღსრულების რიტუალები საუკუნეთა განმავლობაში უცვლელია. არ შეიძლება, მოვიგონოთ ნათლობის, აღსარების, ზიარების, მღვდლად კურთხევის, ზეთისცხების, ჯვრისწერისა და მირონცხების ახალი წესები, ისინი მარადიულია, საერო კანონები კი — ცვალებადი. ასე რომ, არ შეიძლება დავანესოთ რაღაც ინოვაციურ-მოდერნიზტული მღვდლობა, შევუსაბამოთ კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებს.

აი, როგორ აყალიბებს თავის აზრს კარდინალი მარტინი საეკლესიო საიდუმლოებათა შესახებ აღნიშნულ ჟურნალში: „საეკლესიო პრაქტიკა, რომელიც ღრმადაა ფესვგადგმული ტრადიციაში და რომელსაც ორიათასწლეული ისტორიის მანძილზე არასდროს დაუშვია გამოხაკრისებები, მხოლოდ აბსტრაქტულ ან აპრიორულ მიზეზებთან კი არაა დაკავშირებული, არამედ რაღაცასთან, რაც თავად მის

საიდუმლოს ეხება.“ ეკლესია, კარდინალის აზრით, ღვთის ქმედების ნაყოფია და არა ადამიანური ნააზრების. კარლ მარია მარტინი საუბრობს იმ კრიზისზეც, რომელიც ქალის მღვდლად კურთხევამ გამოიწვია ანგლიკანურ ეკლესიაში.

შეიძლება, მკითხველს გაუჩნდეს კითხვა: რა არის ეკლესიის საიდუმლოებანი და ბრმად რატომ უნდა მივდიეთ მათ? თვითონ სიტყვა საიდუმლო ნიშნავს გონისმიერი შემეცნების საზღვრებიდან გასულს. თვით ზუსტ მეცნიერებებშიცაა ჩადებული მტკიცებულება გონების (ცოდნის) დასაზღვრულობის შესახებ. მაგალითად მათემატიკაში ცნობილია, რომ +1-ს შეესაბამება -1, +1000-ს კი — -1000 და ასე უსასრულოდ, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ცოდნის ზრდის პარალელურად იზრდება არცოდნაც. ატომის გახლეჩამ, მაგალითად, კი არ დაასრულა მიკროსამყაროს შემეცნება, არამედ უფრო მეტი კითხვის ნიშნები დასვა. აღმოჩნდა, რომ ატომი შედგებოდა ბირთვისგან, ნეიტრონებისა და ელექტრონებისგან, ისინი კი — კიდევ რაღაც უმცირესი (ჯერ კიდევ აღმოუჩენელი) ნაწილაკებისგან.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, ვიკითხოთ: როგორ უნდა ვიყოთ მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის იმედად? ნუთუ ჰოლივუდური ფილმების იმ გმირებს უნდა დავემსგავსოთ, რომელთაც სწამთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით თვით აპოკალიფსის თავიდან არიდებაც კი მოხერხდება? მაინც სადამდე შეიძლება, მიგვიყვანოს გონების გაფეტიშება? იქნებ მართლაც უნივერსალურად მოაზროვნე ზეკაცი უნდა გახდეს ჩვენი მხსნელი? რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ გონისმიერი ცოდნით შორს ვერ წავალთ, საჭიროა სულიერება. სიბრძნე, რომელსაც ადამიანის სულისთვის სარგებელი არ მოაქვს, მაგდის ქვემ ჩადებულ ლამპარსა და უნაყოფო ლეღვის ხეს ემსგავსება, მაცხოვარმა რომ დაწყევლა. ღვთაებრივი სიბრძნის კარი კი უბრალო მეთევზეებს განეკლით და არა წარმართ ფილოსოფოსებს, „რამეთუ ვინაითგან ესე და სხუანი იგი მეთევზურნი და მოციქულნი გამოჩნდნენ, მიერთგან პლატონისი და პითაგორასი ყოველივე წარხდა“. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ის, რაც ქრისტიანობაში განსწავლულმა „ერთმან უნდომან ქურთხვან იცოდის, იგი პითაგორა არა იცოდა, არამედ მათი ფილოსოფოსობა სამოსლითა და თმითა და წუერითა, ხოლო შინაგანი ყოლადაცე საცხე არანმინდებოდა და მატლითა და წუთხითა“ (წმინდა იოანე ოქროპირი, „თარგმანება იოანეს სახარებასა“).

არა მხოლოდ ქრისტიანები, სხვა რელიგიის მიმდევრებიც აღიარებენ სულიერების პრიორიტეტს. ინდუიზმსა და ძენ ბუდიზმში, მაგალითად, მედიტაციის მთელი სისტემა შექმნილი დამწყების გონისმიერი აზროვნების საფეხურიდან — სულიერზე ასაყვანად. თვით აპოკრიფული ლიტერატურაშიც მსგავსი რამაა ნათქვამი. აი, რა წერია თომას სახარებაში: „ნეტარია ის, ვიც ორს სამად აქცევს, სამს კი — ერთად“. როგორც ცნობილია, ლუნი რიცხვი ორი გონისმიერი შემეცნებისა და პოლარიზებული აზროვნების სიმბოლოა, კენტი რიცხვები სამი და ერთი კი — სამებისა და ერთარსების. ნეტარი მართლაც მხოლოდ ისაა, ვინც გონებრივ საფეხურზე მალდება და სამებისა და ერთარსების აღმსარებელი ხდება. უზენაესთან დაკავშირებით, სინანულითა და ზიარებითაა შესაძლებელი. ქრისტიანულ საიდუმლოთა აღმსრულებლებად კი ღვთისმსახურები გვევლინებიან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ზეციური სასუფეველისკენ მიმავალი კარის დახშობა ან განღება. სასულიერო პირებს უმძიმესი ტვირთი აწევთ მხრებზე, მათ უნდა დაიცვან საეკლესიო საიდუმლოებები ნაბილწისგან, არ უნდა გადაუყარონ მარგალიტები ღორებს საჯიჯგნად. საგულისხმოა, რომ თვით წარმართებსაც ჰქონდათ თავიანთი მისტერები და საიდუმლოებანი. მეტიც, ხანდახან ახალშობილის „სულის სახელსაც“ კი ასაიდუმლოებდნენ, რათა მათზე შავი მაგიის მიმდევრებს ზეგავლენა არ მოეხდინათ. წარმართობის გავლენით ხევსურეთში დღესაც რამდენიმე სახელს არქმევენ ადამიანს. ინდოეთში ზოგიერთ ღვთაებას ასე მეტი სახელიც კი აქვს. „მრავალსახელა დე-

დაჩემმა გამანდო ერთხელ, ვისაც თემი-დად და, აგრეთვე, გაიად ხმობენ“, ეუბნება პრომეთე ქოროს გამძლო ქალს ესქილეს დრამაში „მიჯაჭვული პრომეთე“. ცნობილია, რომ პრომეთე ბერძნულად წინმხედს ნიშნავდა, ის ეპითეტია და არა სახელი. ეპითეტებია ეპიმეთე, შივა... რას ნამდვილი სახელი ეპი მხოლოდ ქალღმერთმა მუტმა იცოდა. გველისგან დაგესლილი რა საბოლოოდ მაინც იძულებულია, ის გათქვას. სხვაგვარად (სულის სახელის უცნობლად) მუტი ვერ შეულოცავს, ვერ იხსნის გარდაუვალი სიკვდილისგან.

ამრიგად, როგორც აღვნიშნე, საიდუმლოებები თვით მისტერების აღმსრულებელ წარმართებსაც ჰქონდათ. მათი გათქმისთვის ძველ საბერძნეთსა და რომში ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ. შვიდი საიდუმლო აქვს ქრისტიანულ ეკლესიას (ერთ-ერთი მათგანია მღვდლობა). მათი დაცვა და აღსრულება კი ღვთისმსახურთა წმინდათაწმინდა ვალია.

სასულიერო პირთა პორტრეტები

პოსტმოდერნიზმის ფუძემდებლებად მიჩნეულ რომან „ვარდის სახელში“ უმბერტო ეკო ქმნის ლიბერალ და ფანატიკოს ღვთისმსახურთა პორტრეტებს. მამა უილიამი და ღირსი ხორხე ერთმანეთის ანტიპოდები არიან. პირველი მიმტვევებელია რელიგიურ ცდომილებაში მყოფ სასულიერო პირთა მიმართ, ხოლო მონასტრის ბრმა წინამძღვარი კი, პირიქით, ყველაფერს აკეთებს ერეტიკოსთა დასასჯელად. ხორხე აშკარად მუქ ფერებშია დახატული. ის მზადაა, მცირე გადაცდომისა და ურჩობისთვის სასიკვდილოდ გაიმეტოს ადამიანი. თავის სისასტიკეს კი ღვთის სიტყვის შეურყვანლობისთვის ზრუნვით ხსნის.

შედარებით ნათელ პიროვნებადია წარმოდგენილი მამა უილიამი. ის ცდილობს, ჩანდეს მოვლენათა არსს. თუმცა ხანდახან მის სულიერ შვილს, ადსოს, ეჩვენება, რომ მოძღვარს ჭეშმარიტების დადგენაზე მეტად ვარაუდების გამოთქმა ახალისებს. მეტიც, დროდადრო ისეთ უცნაურ ფრაზებს წამოისვრის, რომ მკითხველს, შესაძლოა, საერთოდ მის რელიგიურობაშიც კი შეეპაროს ეჭვი. მაგალითად, „აფრიკის კიდედ“ წოდებულ საიდუმლო წიგნთსაცავში შესვლის წინ მამა უილიამი ამბობს:

„— მომინათე, თუ ეშმაკი გნამს, ნუ გეშინია, ღმერთი ჩვენთანაა!“

არანაკლებ უცნაურია ყმანვილი ადსოც, რომელსაც აუცილებლობასა და შემთხვევითობაზე ფიქრისას ასეთი შეკითხვა უჩნდება:

„— რა განსხვავებაა ღმერთსა და პირველსაწყისს ქაოსს შორის? ღმერთის აბსოლუტური ყოვლისშემძლეობის გნამდეს და თან მიგაჩნდეს, რომ ის არაფერზეა დამოკიდებული, თვით საკუთარ გადამწყვეტილებზეც კი, იმის მტკიცებას ხომ არ ნიშნავს, რომ ღმერთი არ არსებობს?“

დამაბნეველია მამა უილიამის პასუხიც:

„— როგორღა უნდა გაუზიაროს სწავლულმა სხვებს თავისი ცოდნა, შენს კითხვაზე თუ დადებითად უპასუხა?“

რისი სწამს ადსოს — პირველქმნილი ქაოსის, სიცარიელის თუ ღმერთის? ან რატომ არ აყენებს ჭეშმარიტების გზაზე ყმანვილს მოძღვარს? მის აღზრდილ ადსოს ხომ სიცოცხლის ბოლოსაც არ შეუცვლია მსოფლმხედველობა? აი, რას ფიქრობს ის სიკვდილის წინ:

„— მალე დავბრუნდები იქ, საიდანაც მოვედი და აღარც მჯერა, რომ არსებობს ღმერთი დიდებისა, რომელზეც ჩემი ორდენის ბერები მიყვებოდნენ, ან ღმერთი სიხარულისა, რომლისაც მაშინდელ მიწორიტებს სწამდათ, ან თუნდაც მონყალეებს... მალე შევერწყები ყოვლისმომცველ სიცარიელეს, თვალუნვდენელსა და უკიდევანოს, სადაც ნეტარებით ფეთქავს ჭეშმარიტად წმინდა გული. უტყვად, მარადიული კავშირით შევეერთდები ღვთიურ წყვილადს, ჩავინთქმები მასში და გაქრება ყოველგვარი მსგავსება და განსხვავება“.

ადსოს მიაჩნია, რომ გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდება „პირველსაწყის, მღუმარე წიაღში, სადაც ყველაფერი თანასწორია და არავის აქვს საკუთარი ადგილი... სადაც არ არსებობს არც ქმნილება, არც არსება არანაირი.“

ადსოს მსჯელობა არაფრით ჰგავს



ქრისტიანულს. არსად ჩანს, რომ მას ან სამოთხის სჯერა, ან — ჯოჯოხეთის. მისი მსოფლმხედველობა დაოსური ან მანიქეველური უფროა. ის მოელის დიად სიცარიელესა და პირველქმნილ ქაოსთან შერწყმას და არა ახალ იერუსალიმში (უფლის ქალაქში) ღმერთთან შეხვედრას.

გარკვეული უცნაურობები ახასიათებს მამა უილიამსაც. რომანის დასაწყისიდანვე მწერალი მიგვანიშნებს, რომ ის ხანდახან ჰაშის ენევა, თანაც თეთრი მაგიითა და ასტროლოგიითაა გატაცებული. თავის მიდრეკილებებს კი ფრენსის ბეკონის სიტყვებით ამართლებს ხოლმე, რომელიც ასტროლოგიას „ხელსაწყობა მეცნიერებასა და წმინდა მაგიას“ უწოდებდა. მამა უილიამს ჩიხში შესული კაცობრიობის გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად „ბუნების ფილოსოფია და კეთილი მაგია“ მიაჩნია. კომიკურია მისი დამოკიდებულება ტომას მელორის პერსონაჟ, თეთრი მაგიის მიმდევარ, ჯადოქარ მერლინთან. წიგნთსაცავის ლაბირინთზე მსჯელობისას წამოცდება კიდევ, მერლინის წვერს ფიცავო. ხოლო, როცა ჩაეკითხებიან, ვის წვერსო, პასუხობს:

„— არავისი, ერთი ჩვენებური ჯადოქარია...“

კეთილი ჯადოქარის წინასახე

მერლინი მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ შექმნილი ეპოსის პერსონაჟია. უფლისწული მისი ჯადოსნობით მოველინა ქვეყნიერებას. ის ჰპირდება მეფე უთრი პენდრაგონს, რომ ჰერცოგ ტინტაჯინელის ცოლს იგრინას მაგიის გამოყენებით ჩააგდებინებს ხელში, სანაცვლოდ მას უნდა გადაეცეს თანყოფის შედეგად გაჩენილი მოუნათლავი ჩვილი. არტურის გამეფების შემდეგ მერლინის დიდი ძალაუფლება უვარდობადა ხელთ — ის სამხედრო საქმეებსაც განაგებს და საეროსაც, თან ერთგვარ წინასწარმეტყველის ფუნქციებსაც ითავსებს. ნყვეტს როდის ჩაბერონ ჯარების გასაყარი (უკანდახევის) ნალარა და როდის გადავიდნენ შეტევაზე; როგორ გაინაწილონ ნაალაფევი; ვინ დააჯილდოვონ და ვინ დასაჯონ. მერლინი მომავალსაც ჭვრეტს: იცის, არტურს დედოფალი გვინევერა რომ უღალატებს; როდის დადგება მეფეთა აღსასრულის ჟამი; ვინ ვის მოკლავს და როდის. ჯადოქარი ხშირად აფრთხილებს მეფე არტურს, თუ რა საფრთხე ელის და ვისგან უნდა დაიცვას თავი. ის გამუდმებულ დაპირისპირებაშია შავი მაგიის მიმდევარ ფეა მორგანასთან. უცნაურია მერლინის შობაც, მას ჰაერის სულის მიერ ჩასახულად მიიჩნევენ კელტური ლეგენდები.

კათოლიკურ სამყაროში საუკუნეების განმავლობაში კამათიც კი მიმდინარეობდა იმის შესახებ, შეეძლოთ თუ არა ჰაერის სულებს (ელფებსა და ინკუბუსებს) ქალის დაფეხმძიმება. სასულიერო პირთა ნაწილი ნეტარი ავგუსტინეს მოსაზრებას იზიარებდა, აღნიშნულ საკითხზე გადამწყვეტილად


რჩეული — ჰარი პოტერი, გენდალფი და სხვები. შავი მაგიის მიმდევრებია ვოლდემორი, საურონი, მორგოტი... ტოლკინთან გენდალფია ბოროტებასთან მებრძოლ ელფთა, ჰობიტთა, ჯუჯათა და ადამიანთა მეთაური, როულინგთან კი — ჰარი პოტერი. სწორედ მათ უნდა დაამარცხონ ბოროტება. მთავარი უცნაურობა კი ისაა, რომ ამ ბრძოლაში ჩვეულებრივ ადამიანებს (არაჯადოქრებს) მეოთხე-არისხოვანი როლი ეკისრებათ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელში“ ადამიანთა მოდგმა ელფების, ჯუჯებისა და ენტების შემდეგაა მოხსენიებული.

„ისმინე წარმოშობა ცოცხალ ქმნილებათა! ჯერ მოდის ოთხი ერი თავისუფალი: პირველშობილი, მოდგმა ელფების; ჯუჯები, ოსტატები, მარჯვე მჭედელნი; ენტები, ტყეთამკვიდრნი, მთებზე უხუნენი; კაცნი, მოკვადენი, უზადო მხედარნი...“

გრძნეულები, მხიბვავები და ჰაერის სულები როულინგის თხზულებებშიც პატივდებული არიან. მწერალი ირონიულად იხსენიებს ყველას, ვინც ჯადოქარი არაა და მათ მაგლებად, ანუ მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევს. „ჯადოსნებს უფრო მეტი უნდა მოეთხოვებოდეთ, რადგან სამყაროზე ზრუნვა მათი ვალია“ — ამბობს ენტი (ხისწვერა), „ბეჭდების მბრძანებლის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. უნებლიეთ გვიჩნდება კითხვა, რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნუთუ ტოლკინს თეთრი მაგიის მიმდევრები ბიბლიურ პატრიარქებსა და წინასწარმეტყველებზე აღმატებულად მიაჩნია? ჩვეულებრივი ადამიანები კი — ჩამორჩენილ არსებებად, რომელთაც თურმე ჯადოსნებისა და მათი თეთრი საბჭოს დახმარების გარეშე ბოროტებასთან ბრძოლაშიც კი გაუჭირდებოდათ? მაინც რატომ იქცნენ VIII საუკუნის ძველ „ბეი-ვულფში“ ამაზრზენ დემონურ არსებებად მიჩნეული ელფები (ჰაერის სულები) კაცობრიობის მხსენებლებად? რად მოიხსენიებს ავტორი ელფების, ზღაპრული ჯუჯებისა და ენტების შემდეგ ღვთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს? (რაც თვით ფანტასტიკური ჟანრის თხზულებისთვისაც კი უჩვეულოა). ან რატომღა დადებითი ტომას მელორის თხზულებათა პერსონაჟი მერლინი, მოტყუებითა და მაგიის დახმარებით რომ ქმნის სამეფო ოჯახს?

მაგრამ დავუბრუნდეთ უმბერტო ეკოს, რომელიც უფრო შორს წავიდა, რადგან ნათელ ფერებში დახატული სასულიერო პირი გამოიყვანა თეთრი მაგიის ფარულ თავყვანისმცემლად. ასე რომ, მკითხველს სამართლიანი ეჭვიც კი შეიძლება, გაუჩნდეს, არიან თუ არა საერთოდ მამა უილიამი და ადსო სასულიერო პირები, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობითა და ქცევით ერისკაცებს უფრო ჰგვანან.

თუმცა თუკი ჟურნალ Liberal-ში გამართულ დისკუსიას გაიხსენებთ, „ვარდის სახელის“ პერსონაჟები უცნაურად არც მოგვეჩვენება, რადგან უმბერტო ეკო, როგორც ამას თვითონვე აღიარებს, რალაც ჰობრიდული, „საერო რელიგიური“ ალმსარებელი მწერალია.





გომოჯი საკვირაო ნირვებიდან

სარეცხის თოკებიდან ახალჩამოსხნილ კაბებში
გამოწყობილი გოგოები, საკვირაო ნირვებიდან,
სახეებს რომ მალავენ
ღრუბლებით გამჭვირვალე თავსაფრებში,
გადაქცეულან ფუტკრების სკეპად,
საკმარისია ერთი ხელის შეხებაც,
რომ დაგკბინოს
მათი ტანიდან გამოშლილმა ყვითელმა სევდამ.
სისხლის გუბებში წვანან,
სურნელოვან ნაყოფს ისხამენ
მოგონებები ბავშვობაზე,
იმ დროზე, როცა ურჩები იყვნენ —
— ბალიშის ქვეშ მალავდნენ აკრძალულ წიგნებს
და კითხვაში ათენდებოდნენ.
წყალმცენარეებით გაზრდილ სიჩუმეს
შხამიანი თევზები ჭამენ,
სიყვარულს აკვარალოთ დახატული
წმინდანები ჭამენ,
გოგოებს საკვირაო ნირვებიდან —
— კედლები ჭამენ, ღმერთო...
გადიან მათი თვალებიდან სინათლის გემები
საკვირების შემზარავი ხმებით,
ამაოების უძირო ზღვაში
და მათ ადგილას სიბნელე რჩება.
ღამღამობით ფეხებშია გაჩენილ ფურცლებს
თეთრი ლავანდის
ხელით ისრესენ იქამდე, სანამ მათ ცხელ წიაღში,
როგორც ზაფხულის უძირო ცაში,
ბოლო ვარსკვლავიც არ შეწყვეტს ციმციმს,
იქამდე, სანამ გალიბებით ღია თვალბში
ცრემლის ჩიტები არ გაჩნდებიან.
და ფერს კარგავენ იისფერი ლავანდებით,
ჭკნობას იწყებენ იისფერი ლავანდებით —
— გოგოები საკვირაო ნირვებიდან.
ვინ თქვა, რომ მათი სხეულები

მომაკვდინებელი ცოდვა იყო,
თუ სიყვარული შეეძლოთ მხოლოდ,
თუკი მხოლოდ სიცოცხლე სურდათ.
მათ მსუბუქ ალზე თავს იკლავდნენ თეთრი პეპლები,
ახლა კი მხოლოდ ფიტულებს ჰგვანან,
გარემოცულს სიკვდილის ფერით.
მათი თავიდან ყველა ფიქრი გადაიწერეს,
საეჭვო შუქით სხივმოსილი ანგელოზებმა,
არა ჰგავს ნამდვილს მათი ასე გასხივოსნება,
ღმერთმა არ ჰქნას, რომ მათ დავემსგავსოთ.
თავის გადარჩენაზე ფიქრობენ გოგოები
საკვირაო ნირვებიდან,
მომაკვდინებელ აირს უშვებენ ჩაკეტილ სახლში
და ღრმად სუნთქავენ,
პირვანდელი სილამაზე და ბავშვური,
ჩაკლული ლტოლვა რომ დაიბრუნონ
აკრძალული ხილისადმი,
სხეულები რომ დაიბრუნონ,
თავის წიაღში გაჩენილი ზღვებით და ცებით,
დიდი ხნის წინ აღსარებაში რომ ჩააბარეს და ჩაიბარეს,
როგორც მძევლობისთვის გამოჩორკნილი
ხის თოჯინები.
მათ ცეცხლისფრად აყვავებულ მკერდსა და მკლავებს
ოთხმოცი წლის მხატვარი ხატავს.
მნახველები აღტაცებას გამოხატავენ
უმარილო პირმოთევობით,
უგერგილოდ ღეჭავენ და აგემოვნებენ,
როგორც ტყის პირებზე მონყვეტილ
კონახურის ყვავილს.
მათი ცხოვრების მუსიკაა ქარი ხეებში,
მათი ცხოვრების პეიზაჟი — ხეები ქარში,
და იზარებიან ლავანდებით,
და ჭკნებიან ლავანდებით
გოგოები საკვირაო ნირვებიდან —
გათავისუფლე, ღმერთო...

გამოვიღვიძე. აღარ გიგროვებ
ტბებში ჩაცვნილ ვერცხლის ვარსკვლავებს,
შენს არეულ ძილს აღარ ვდარაჯობ,
შენს შეხებაზე აღარ ვირევი,
გავყურებ ბილიკს, რომელზეც სევდა
ყვავის ცეცხლოვნად, როგორც ასკილი,
მთას მოუგდია მთვარე ბეჭებზე,
როგორც ამ ღამის ნანადირევი.
გამოვიღვიძე. აგვისტოს დამე,
ვარდის ფურცლების მოსავს პერანგით,
აღარ გეხვევი მხრებზე, ხელებზე,
არც მოლოდინებს გითვლი ბავშვობად,
ირგვლივ კი ტყეა ბევრი ხეებით,
ხეებს ეზრდება ტანზე ტოტები,
შენს მკერდზე ყველა თავის დადების,
და შენად ყოფნის ჩამოსახრჩობად...
აღარ მოვუხმობ ჰებებს, ჰეფესტოს,
დე, ყველა ღმერთი იყოს უჩვენო,
მე ვუდარაჯე დიდხანს სიზმარეთს,
ქარში ტიტების გადაკიდებას;



ქეთევან ნათელაძე

გაღვიძებული აღარ დავეძებ
მინდორ და მინდორ ჩიტის ბუდეებს,
რომ ერთ დღეს ახდეს ყველა ნაფიქრი
და ჩვენ თავადაც ვიქცეთ ჩიტებად!
მთელი სამყარო გახდა მდუმარი,
ელავს დრო-და-დრო, იცი თავადაც
გამოღვიძების შემდეგ რაც ხდება,
სიზმრის მრავალჯერ აწონდაწონის,
აღარ ეძებენ ცივი სიბნელეში
გზა-კვალ არეულ თითებს თითები,
და შემოდგომის ნაზი წვიმებით
აღარ სველდება ჩვენი სანოლი.
ყოვლის დამღვევი ვპოვე მდინარე,
ყოვლის წამლები ვპოვე მდინარე,
რომ მომეყოლა ჩემი სიზმარი,
ერთ დროს რომ ასე ჭირდა მიგნება,
ნაგილო მისმა ჩქარმა დინებამ,
და მიიძინეს შლეგმა ქარებმა,
მაგრამ ამ შავ-თეთრ სიცარიელეს,
სიზმრად ნანახი სჯობდა იქნება...
გამოვიღვიძე. აღარ გიგროვებ
ტბებში ჩაცვნილ ვერცხლის ვარსკვლავებს.

პველი ავტომობილი

ნავიდეთ სოფელში
ჩვენი ძველი ავტომობილით.
გიჩვენებ ჩემი მავებიდან გაფრენილ ჩიტებს,
ახალგაყვავილებული კვირტებით
როგორ გაიშლებიან
ხეების ზურმუხტისფერ ფოთლებში,
და სხვენს — ყველაზე საიმედო ადგილს,
სადაც დიდი ხნის წინ შევიხანა ჩემი თავი
და წამოვედი შენს მოსაძებნად.
მეხსიერებაში ჩაკრულია ბალახების გამომშრალი ხმები
და მონატრება რაღაც არარსებულის,
იქ, სადაც ახლოს
ქათმების კრიახი უნდა სერავდეს
სიცხისაგან გაბლანტებულ შუადღეს,
სიმინდის ყვითელი კრისტალებით ისეტყვებოდეს მინა,
თუ კიდევ შემორჩა ვინმე სულიერი.
გიჩვენებ კაბას, რიყის ქვებით თეთრს —
ცამეტი წლის გოგოსთვის შეკერილს;
იმ დღით რომ მეცვა, როცა მქონდა პირველი ციკლი,
რომლის კვალაც ვერაფერმა ამოაშორა
და დარჩა კაბის ბოჭკოებში სამარადისოდ,
როგორც თეთრ ქვებში ვარდისფერი, ნაზი ყვავილი,
ერთადერთი ყვავილი, რომელსაც ფერი შეეცვალა,
მაგრამ არ დაჭკნა,
ამიტომ, იქნებ სევდის მომგვრელიც კი იყოს მისი ხილვა.
მიხვდები, საიდან დაიწყო, ეს ტკივილებით სავსე ამბავი,
ეს უსასრულო გაუგებრობა,
გადასაყვრელი ჟურნალებით
სხვენში საკუთარი თავის გადამალვა
და წამოსვლა შენს მოსაძებნად.
ნავიდეთ სოფელში ჩვენი ძველი ავტომობილით,
და მომიყვი, როგორი იყო შენი სახლი თავდაპირველად,

თვალბში მასაც ალუბლის ტოტები ეჩხირებოდა,
თუ ლეღვის რძიანი ფოთლები უსუსხავდნენ კედლებს?
ან იქნებ არცერთი ხე არ მდგარა შენი სახლის გარშემო?
ისევ ისეთი ხარ, თუ შენც სხვენში დატოვე
საკუთარი თავი,
ჩემს მოსაძებნად რომ წამოსულიყავი?
ახლა კი აღარ შეგიძლია, ამომგლიჯო,
როგორც კიბოს მეტასტაზები —
მარტობიდან ველარგამოდნევის პანიკური შიში.
ჩავუქროლოთ ჩვენი ძველი ავტომობილით
გაუვალ კორომებს
და მინდვრებსაც,
კალიების მწვანე თქემი რომ გადაუვლის
და მომაკვდინებელი ყაყაჩოები დაემართება —
— ტვინში სისხლის გაჟონვა.
რომ დაგაყენო იმ ფანჯარასთან,
რომელთანაც ანთებულ შუქში ყოველდამე
პერანგს ვიხდიდი,
რამეთუ ვიცოდი, მოპირდაპირე სახლის სიბნელიდან
მეზობლის ჩემი ტოლი ბიჭი მითვალთვალებდა,
და ყოველთვის ნელა ვიხდიდი,
წარმოვიდგენდი, ისე უგუბდებოდა თვალბში
და მთელ ტანში ზღვები,
ქუთუთობთან თევზებს რიყავდა,
და მერე ოფლით დაცვარული ტანით ვწვებოდი
და ჭერზე ჩამოყოფილი წვიმისგან დახატულ
ფუტკრებს ვითვლიდი,
რომ როგორმე ჩამძინებოდა.
ხის დაბალი კარიდან შეგიძვებოდა საკუჭნაოში,
იქ ორმოც გრადუს სიცხეშიც კი
ყინულივით ცივი იყო კედლები
და ყოველთვის ხახვის გირლიანდები ეკიდა,
მრგვალი, ვარდისფერი ნათურებით.
ვიდექი მათ დანრეტილ ჩრდილში
და ფეხებზე ხავსივით მაცოცდებოდა
კალენდარზე სადღესასწაულოდ ჩანიშნული
თარიღების სიცარიელე.
მინიდან ფესვებიანად ამოთხრილ ყვავილებს
თმებში ჩავინყობ,
ჩემი შუბლიდან ნერვებით დაიწყონ გაზრდა.
და ჭიდან ცივი წყალს ამოვიღებ,
ერთმანეთის პირისპირ ჩამოვფდებით
მრგვალ მაგიდასთან,
შეძვლებთ იმდენი წყალი დავლიოთ,
რამდენიც მოგვესურება —
— ნამდვილი ცხოვრებაც ეს უნდა იყოს!
დავრჩეთ სოფელში შემოდგომამდე,
რომ გიჩვენო, როგორი ცა ჩანს ჩემი სახლიდან,
რომ გითხრა — მე მხოლოდ შენთვის გავჩნდი ასეთი
და შენი ზღვების ნაპირებთან გამორიყულ
თევზებს ვუპატრონო.
მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს —
— ან მახლობელ ტყეებში დამალულმა ქარებმა
მოგვაკითხონ სხვენში,
ან საკუჭნაოში დაკიდულ ვარდისფერ ნათურებთან
ერთად გადავინვათ,
ან მთებიდან ჩამონოლილმა სქელმა
ნისლმა შეგვინოვოს.

გულს სიცივედ და დარჩა ეჭვად,
დღეები შორით გადაფრენი,
როგორ ვარ იცი? სულს არ შერჩა
სხივი იმ ძველი აღმავრენის.

უკვე სხვა მხრიდან ამოსვლას და
ჩასვლას ბინდისას აპირებს მზე,
მდინარე სხვა მხრით მიმავალი,
ველარ გადმოვალ ნაპირებზე...

შენ ვერ იგრძენი, შენ არ იცი,
დრო გულზე სევდად მონოლილი.
როგორ ვარ იცი? — ველარ ვინვი
ნაცარნაყრილი კოცონივით.

ტახასური ამინდები

ცხელ ქვიშად ქცეულ მოგონებებს სევდის მზე აჭერს,
მწველია ღამეც, ტახასური ამინდებია,
სარკის ნატეხში ჩანს უხორცო ვიდაც მეორე,
როგორ მოჰგვანან ეს ხეები ტოტემატაფრილი,
ომიდან სახლში დაბრუნებულ, დაღლილ მეომრებს.

აქ შეისვენებს სიყვარული, როგორც ულაყი,
მტვერში გაქცეულს დაღლის ალი როცა ედება,
შენ ასეთ ქალთან იცხოვრებდი? არა მგონია,
შუალამისას რომ დგება და მთვარეულივით,
თვალდახუჭული სველ მინდვრებში დაეხეტება...

დამძიმდა მინა და სურნელი ისე ტკბილია
საზამთროების, თითქოს ქარი აქ მზეს ამინებს,
შენ იცხოვრებდი? ასეთ ქალთან, ვინც იდილია
დაგირღვია და ყოველ ჯერზე უნდა გაცდუნოს,
ვინც გინერს ლექსებს და ძილის წინ პირჯვარს არ იწერს.

ვინც თავის ფეხით მიჰყვებოდა ქარებს უბელოს,
ყველა მახემიც თავისივე ნებით გაება,
ვინც ეკლიანი ღობესავით შეუვალია,
თან სახიფათოდ მსუბუქია, როგორც ღრუბელი,
და ვერც დათმენა ისწავლა, ვერც თავშეკავება.

ყვითელ ლაქებად გადაქცევა იწყებს ფოთლებმა,
ვარსკვლავები კი ფართხალევენ ცის ლურჯ ბადეში
ლიფსიტებივით. ამართლებს კი მსგავსი იდეა?
შენ იცხოვრებდი? ასეთ ქალთან, ვინც შემოდგომა
თვალეში მწუხრის ნუხილივით გამოიმწყვდია.

მხოლოდ სევდაა უსასრულო. წვიმა, შანხაი
და ყვავილები ოცნებაა გულისწამლები,
ან სამუდამოდ შემოიძულე, ან უარმყავი,
შეპყრობილი ვარ სიყვარულით, შენ ვერ გაუგებ
თავსა და ბოლოს ჩემს ვნებებს და დაიკარგები.

მხოლოდ გახსოვდეს, რომ სურვილით სახსე დღეებმა
ამ სველ მინდვრებში ჩაუქრობი ცეცხლი აკმიეს,
მხოლოდ ხანდახან გაიხსენე, რომ ეს ხდებოდა —
— მთვარეულივით ავდგებოდი თვალდახუჭული,
და შენ გეძებდი, თუმცა მაინც ვერ მოგაკვლიე.

რომ დარჩი ყველა აუხდენზე აუხდენელი,
როგორც განცდილი და ნაცნობი სინათლეები,
წერტილებივით შეუმჩნევლად შორს რომ რჩებიან;
შემოვიქსოვე მარტოობა, როგორც ობობამ,
მწველია ღამე, ტახასური ამინდებია...
შენ ვერ გაიგებ!

JE VEUX UN VERRE DE VIN ROUGE
ანუ გოგოები წითელ ღვინოს სვამენ

მეგობარს

კომპის სურნელმა გამოაყარა სახლის ძველ კედლებს,
მამშვიდებს შენი ნაბიჯების ხმა ამ იატაკზე,
რომლის ქრიალიც უკვე ნაცნობ მუსიკად იქცა.
მამშვიდებს, ჭიქებს წითელი ღვინოთ როდესაც ვავსებთ
და ფოთლებს შემოაქვთ თბილი ჟრუანტელი.
რომელიღაც ფრანგული სიმღერის მისამღერიც
ასე იწყებოდა —
— Je veux un verre de vin rouge.

ხომ გვართობდნენ ყურძნის ბალებში ჩიტების
დასაფრთხობად დაყუდებული საფრთხობელები,
ჩვენი კაბები რომ ჩავაცვით და მთელი ის დღე
ფუჭად იქნებდნენ უსიცოცხლოდ დაკიდულ ხელებს —
— ჩიტები ყურძნის მწიფე მარცვლებს შეექცეოდნენ
და პირველად, ვერც კი ამჩნევდნენ
მათი მოძრაობა ხელების ჩრდილებს,
მათ უშნო ჩრდილებს.
ხომ გახსოვს? რა ღამაზე იყვნენ
ბაღში საფრთხობელები იმ დღით,
როცა ჩვენი კაბები ეცვათ.

ჩვენ ყოველთვის გოგოები ვიქნებით
და ნაკლებად ვისაუბრებთ ღმერთზე,
ან არასდროს.
აივნის თოკებზე გაფენთ ვარსკვლავებით
დამტვერილ საცვლებს,

გაზაფხულზე კომპის სურნელი გამოაყრის
სახლის ძველ კედლებს
და მახლობელი სასაფლაოს შეღამებიდან
ჩვენი მკვდარი კავალრები გაიღვიძებენ
და იქნება ვიცეკვოთ კიდევ.
ღამის წვეულებებზე უკრავენ შოპენს.

ჩვენ ყოველთვის გოგოები ვიქნებით
და უკან დასაბრუნებელი გზებივით
მოკლედ მოვიჭრით კარეს.
ჩვენი თვალებიდან მონყენის ლანდი გაიწვლება
და დაფარავს ყურძნის დიდ ბალებს,
სადაც საფრთხობელებს ოდესღაც ჩვენი კაბები ეცვათ.

ჩვენ ყოველთვის გოგოები ვიქნებით
და ერთ დღესაც ომში წავალთ;
და დანაღმულ ველებზე ვივლით.
ისე მოვკვდებით, როგორც მხოლოდ
გოგოებს შეუძლიათ მოკვდნენ,
ეფემერული დღეების ქარში.
ღრმად ჩამარხავენ ჩვენს ცივ სხეულებს,
ჯერ ისევ სწელთ სიყვარულის ცივცხვლებით.
ასი წლის შემდეგ ჩვენი ძვლებისგან
ყურძნის ბალებში დასაყუდებულ
საფრთხობელებს ააწყობენ.
ჩვენ გვინახავს, რა ღამაზებია ზოგჯერ ისინი.

ჩვენ ყოველთვის გოგოები ვიქნებით,
ახლაც და სხვა ცხოვრებაშიც,
და მომხიბვლელი იქნება ვითამაშოთ ცეცხლთან.
ვინც ყველაზე დიდ ცეცხლს დაანთებს,
ჩვენ მასთან წავალთ.
და ბოლოს-და-ბოლოს ცხოვრებასაც ვისწავლით;
და ბოლოს-და-ბოლოს შეგუებასაც ვისწავლით;
და ბოლოს-და-ბოლოს მოკრძალებასაც ვისწავლით;
იმ დიდ ცეცხლში ფერფლად ქცევის ხარჯზე.

ჩვენ ყოველთვის გოგოები ვიქნებით
და განმარტოებისთვის ყოველთვის
ბაღის დასავლეთ ნაწილს ავირჩევთ,
ჰორიზონტის იმ მხარეს, საითაც მზე ჩადის.
და ყოველთვის იქნება ჩვენში რაღაც ისეთი,
რასაც ვერავინ ვერასოდეს დაუფლდება.
ამოუხსნელი გამოცანებით დავემსგავსებით
კიშლიოვსკის მთავარ გმირებს,
და მოვუსმენთ ბახის ნოქტიურსს,
ნავიკითხავთ ტრაგიკულად დაღუპული
პოეტების ლექსებს
და ტურსაქის მკრთალ ნაკვალევს დაფუტოვებთ
წითელი ღვინოთ სანახევროდ შევსებულ ჭიქებს —
— გოგოები წითელ ღვინოს სვამენ.


მეზობელ სახლში

მეზობელ სახლში, სადაც უკვე ცხოვრობს არავინ,
ცხოვრობს აჩრდილი და ქუჩებში როცა ბინდდება,
ის დგას სარკმელთან უთვალეზო და შემზარავი,
ჩემი ფანჯრისკენ იყურება და მაკვირდება...
ყველა ქუჩაზე, ყველა ხეზე თოვლი მოვიდა,
მეზობელ სახლში მარტოობის ცხოვრობს ქმნილება,
ის შესაძლოა ყოფილიყო ვინმეს იმედი,
ან სიყვარული, ან ლოდინი, ან მოთმინება...
თოვლის სიმშვიდით სველდება გარეთ აბრები,
მეზობელ სახლში თოვლის სუსხი შუქად იღვრება,
და იქ აჩრდილი ფანჯარასთან ზოგჯერ საბრალოდ
პატარავდება და მწუხარედ მხრებში იხრება.
აჩრდილად იქცა, ტრაგიკულად ყველა, ვინც მოკვდა,
ყველა ვინც მოკლეს, ან სიკვდილის წყევლით გათვალეს,
ის მე მიყურებს ისე, თითქოს ერთდროს მიცნობდა,
კი არ მიყურებს, დგას სარკმელთან

და მითვალთვალეს.
ვერხვის ხეები იმ სარკმელთან ტოტებს იხვიან,
ჩემს ამოუცნობ მეზობელთან შესვლის ფინი აქვთ,
მეც მას ვუყურებ ისე, თითქოს ერთდროს ვიცნობდი,
თან ახლოს მინდა მივიდე და თან შემიწია.
გავლილ მანძილებს დღეს ჩვენს შორის
მანძილს ვატოლებთ,
თოვს მდუმარედ და მდუმარებას ვარღვევთ არცერთი,
არის რაღაცა მის ყოფნაში ადრე განცდილი,
არის რაღაცა ამ მზერაში გულდასაწყვეტი.
მეზობელ სახლში, სადაც უკვე ცხოვრობს არავინ,
ცხოვრობს აჩრდილი და ქუჩებში როცა ბინდდება,
ის დგას სარკმელთან უთვალეზო და შემზარავი,
ჩემი ფანჯრისკენ იყურება და მაკვირდება.

ციხის შიგნითაც

მასუნიქებს ქვიშას ამ დღეების თეთრი საჰარა,
მაგრამ ვით ქარში ფოთოლცვენა, ვიცი, ვინათებ,
ღამის წყვილადში შეიმჩნევა უფრო აშკარად,
რომ სხეულიდან გამოსჭვივის სულის სინათლე.
და რაც არ უნდა ამოშენონ შიში თვალეში,
გვავარ თოლის გამოქცეულს ზღვების წიგნიდან,
რადგან სინათლე აღწევს ყველა ბნელ სამარეში,
რადგან ჩიტები დაფრინავენ ციხის შიგნითაც.



ცოლი მომავს

ვათვალეირებ კლასელების ფოტოებს,
ჩარიგებულან შვილებთან ერთად,
და ეს შვილები — აღმოჩნდება,
რომ — უკვე სკოლას ამთავრებენ,
სკოლა კი — აღმოჩნდება,
რომ — სწორედ ისაა, მე რომელიც დავამთავრე,
და მე კი — აღმოჩნდება,
რომ — უკვე სამყაროსხელა გავმხდარვარ,
საფეთქელთან სიმელოტე შემპარვია
(რომელსაც ჯერჯერობით ოსტატურად ვნილბავ).
წარსულშიც არაფერია სანახავი:
არც შვილები, არც გოლდსმიტში სწავლა,
არც არაფერი,
მხოლოდ ბარიკადები, მიტინგები, აქციები,
და მაინც არაფრის დიდებით შეცვლილი
და ხელიდან გამოცლილი ცხოვრება...

იქნებ ეს იყოს დაღლა,
დანებება,
ფარ-ხმლის დაყრა,
როცა ბოლოს და ბოლოს მეც მინდება
ოჯახური კიჩის ფსკერზე თავის ამოყოფა:
მხრებზე შვილების შემოსმა
და სურათების ისე გადაღება,
ვითომ შემთხვევითი კადრი იყოს
და მე ვითომ სულ სხვაგან ვიყურებოდე,
და საერთოდაც, ვითომ ძალიან საქმიანი ვიყო,
მამინაც კი, როდესაც ბავშვები
პიემენტებივით მაყრია მხრებზე,
და ვითომ აღარც მახსოვდეს,
თუ როგორ დავცინოდი
ოჯახების ბურჟუაზიულ მონყენილობას,
ჩემი კოლეგები რომ იყვნენ გახლართულები,
რომლებმაც ლექსებს და შიმშილს
ოჯახის რუტინაში ყოფნა
და ძილის წინ ცხელი წვნიანის ხვრეპა არჩიეს.

როგორი ამაყი ვიყავი
როგორი ახალგაზრდა
და როგორი უცოლშვილო!

დაე, ახლა მე დამცინონ ახალგაზრდა პოეტებმა,
თავიანთი ცარიელი ჯიბის
და გამომხმარი კუჭის სიმალლიდან მომზირლებმა.

ისინი და სხვა

ანასტასიას

ისინი ტროტუარზე გაშლილად მოძრაობენ,
არ ანუხებთ სკოლიოზი და საბანკო დავალიანებები,
ამიტომ დიდსულოვნად გვესალმებიან,
თუმცა ეჭვით გვათვალეირებენ —
ემანდ, სოციალური კაპიტალიზმი ხომ არ მოვავროვებ?
მათ არყოფნაში რამდენიმე ბინა
ხომ არ ვიყიდეთ თბილისის ცენტრში
და ევროპულ ტურისტებზე
ხომ არა გვაქვს მიქირავებული?
და შვილები? რას ველოდებით?
ისევ ის 2005 წელს გამოშვებული „პრიუსი“ გვყავს?
მიზნები?
ემანდ, რამე წარმატებას ხომ არ მივალნივით
საერთაშორისო ასპარეზზე?
ჰმ, ვერც ლოკალურზე?
საერთოდაც, ბედნიერები ხომ არ გავხდით?
ხომ არ ავშენდით?
ბანკის კრედიტები ხომ არ დაფვარეთ?
არა? კეთილი, ყველაფერი რიგზე ყოფილა.



დასაწყისი პირველ გვერდზე

1

— მაინცდამაინც უნდა მოგკლა და მერე თავი მოვიკლა, ავთო?
 — რა ხდება, თინი?
 — არა, ჯერ მიპასუხე! მაინცდამაინც თავი უნდა მოვიკლა და მერე შენც მოგკლა, ავთო?

— თავი თუ მოიკალი, მე როგორღა მომკლავ, თინი? რა დალიე ამისთანა?
 — როდის იყო, მე ვსვამდი? დამანებე რა თავი!.. რა არის ეს?!
 — აქედან როგორ დავინახო? ვანგა კი არ ვარ... მოდი ახლოს!

— ავთო, შეხედე კარგად! ესაა საყურე, რომელიც ჩემი არ არის!
 — ჰმ! აბა, ჩემია?
 — ავთო, მე ასეთი საყურე არ მქონია! საიდან გაჩნდა ის ჩვენ საწოლ ოთახში? თან ერთი ცალი და ისიც საწოლის ქვეშ!

— რა საყურე. რომელი საწოლი... შოთა მოათრევდა ვინმეს. მაცალე ყურება!
 — თქვენ პირი გაქვთ შეკრული.
 — კაი რა. რა პირი, თინიკო...
 — პირი! პირი! ორი პირი! შენ და შენ შეგის! იმისი პირი შენ პირთანაა შეკრული! სულ რო აფარებთ ერთმანეთს ხელს, მე კიდევ ნერვიულობისგან მაინცდამაინც შაქარი, ნევროზი და ყველა უბედურება უნდა გამიჩნდეს?! ვინ გყავდა აქ მოთრეული?

— თინი, უკვე ვიცი, რომ ისევე იმ მფრინავ სურვილებზე სერიულს უყურე და უბრალოდ გამოყოლოლი ხარ!
 — დამანებე რა თავი!.. ეს საყურეა გამოყოლილი?! ავთო, შენ მე უსულლო ხომ არ გგონივარ? მე ყველაფერს ვგრძნობ! ის მაინც თუ გახსოვს, ზოდიაქოთი ვინ ვარ? ახლაც ვიგრძნობ! მაინცდამაინც თავზე უნდა წამოგაღდე და ფაქტზე დაგიჭირო?

— სად, თინი? ვინ? რა მოთრეული? იცი შენ, შოთა უკვე რამდენი წლისაა, მარტო ჩემკენ რო იყურები? მომავალ წელს უმადლესში აბარებს! შენ იცი ლაშა-გიორგი რამხელა იყო, პირველად ქალთან რომ დანვა? გამანებე ახლა მართლა თავი, თორე გადავალ იმდღევანდელივით პაპიაშვილებში! კი იცი, იქიდან როგორიც დავბრუნდები!

— დამანებე რა თავი!.. რა შუაშია ლაშა-გიორგი! ვინაა ლაშა-გიორგი?! სად ის არანორმალური მეფე და სად შენი წერაკითხვის უცოდინარი იდიოტი შვილი...

— შევ-თან-ხმდით! ოლონდ ახლა გაინი! რო მოგინდება ხოლმე ასეთ დროს უაზრო საქმეების გარჩევა. გადაურეკე შოთას და კითხე! გეტყვის ყველაფერს, რომ მადებ აქ ხელს. გაინი-მეთქი. ტფუი, რა გამაზა! თინი, მეფარები! ვინმეს დაურეკე, ან ჩაი აადლე, და ნუ მირტყამ წრეს წამის ისარივით! კისერი მომეღრცა!

— სად გავიციხო?
 — სადაც გინდა... მაცალე! ან სარკეში ჩაიხედე! ნახე უკვე, რას დაემგვანე... რატომ ვატყებ აბაზანაში სარკე? გინდა, გითხრა სიმართლე?
 — მითხარი!

— რატომ და, გრცხვენია შიგნით ჩახედვის. არ იცი, რა ქნა და ჩხუბის მიზეზს ეძებ? თავს მოუარე, თინი, თავს! გახსოვს, საერთოდ როგორი ხარ ამ ბოლო დროს?

— დამანებე რა თავი!.. როგორიც უნდა ვიყო! მე შენ მთელი ცხოვრება მოგიძღვენი! შენ კიდევ რას მიკეთებ? მოვიდეს შოთა ერთი.

— მოვა, სად წავა. სახლი აქ აქვს და კარი. როდის არ მოსულა? დაავიანებს — დარეკავს.
 — მოვიდეს! ვანახებ მე ამას, და დაგრეკავთ მერე ერთდროულად!
 — რას ანახებ?
 — რას და საყურეს, რომელიც ჩემი არაა.

— ღმერთო დიდებულო, აღმსარებლობას შემაჯღლევიანებს ეს ხალხი. ბოსტონის ეპარქიაში გადავრეკო მაინცდამაინც? თუ სტაროვერი გავხდებ? მაინც ააცილა...

— მე ვიცი ყველაფერი!
 — რა ყველაფერი?
 — ღამით წამოგვცდა და ვიცი! ნუ მატყუებ ყოველ ფეხის ნაბიჯზე! ვინ ჯანდაბაა მილა?
 — მილა?
 — ხო, ვინ ოხერია მილა?
 — მილა? ვინ მილა? აჰ, მილა? მილა ძველი ფეხბურთელია, კამერუნელი. სხვა ვინ იქნება?



ბესო სვედელიძე

ღამის გუშაგები

— იდიოტი ხარ, ავთო? ვინ კამერუნელი ფეხბურთელი?
 — ვინაა-თქო, მკითხე და გეუბნები — მაინცდამაინც მილა იოვოვიჩი უნდა გითხრა, რომ შეშვება?
 — მართლა იდიოტი ხარ ამხელა კაცი!

2

— ალო, შოთა, მამაშენი ვარ. დედაშენმა სერიოზულად გააფრინა, მგონი! მიდი სახლში დროზე!
 — რა პონტი?
 — რა რა პონტი?
 — რა პონტი გააფრინა დედაჩემმა სერიოზულად?

— ვილაცის უცხო საყურით დარბოდა, თავზე დამქოთქოთებდა და მტენიდა. ნერვები დამანყვიტა.
 — აბა, მე უნდა შემომტენოს?
 — რო დაათრევე უცხო ნაკლებს სახლში. შენ არ იცი, რომ ოჯახი ტაძარი? მოდი სახლში და აუხსენი ეგ ყველაფერი დედაშენს! მე შემეშვას!
 — რა აუხსნა?

— სიყვარული ვენახში. რა უნდა აუხსნა?! რალაც საყურე იპოვა-მეთქი ჩვენ სპალნაში და ალარ მყურებინა ალარაფერს. დაყრუვდი შენ, თუ როგორა ხარ?

— მაიცა, მერე მე რა საქმე მაქვს თქვენ სპალნასთან?
 — აბა, თავისით გაჩნდა? იატაკიდან ამოვიყვანე? მანჭყვალაა მამაძალი?
 — აჰ, შენი გრეხები გინდა, ამკიდო, საყვარელო მამილო? მიდი სახლში და მოეფერე. უთხარი, რო სურპრიზი გაუკეთე. ცოლი არაა?

— რა სურპრიზი? ერთი ცალია.
 — ეხლა ერთ ცალსაც იკეთებენ. მარადონას ერთი ეკეთა, არ გახსოვს?
 — მეთერთ-მეთქი და უთხარი რაც საჭიროა!

— მაიცა, მე ვერ გავიგე — მე ჩემი ოთახი არ მაქვს თუ როგორაა? ვინც ამომყავს, ეგრევე ჩემ ოთახში შემყავს! შენც წაიყვანე ხოლმე სადმე სასტუმროში, რომ მოყავს სუ მანდ ეგ შენი ძველი ნაშუბი. ბარემ თავზე დაიამასქენი დედაჩემს და მერე მე მირეკე, რომ გიშველო...
 — მიხვალ-მეთქი სახლში დროზე!
 — ჯერ არ მცალია!
 — ნეტა ალარ მოგებზრდა ყოველდღე ერთი და იგივე?

— რა ერთი და იგივე?.. ვიჯდები მანდ და გიყუროთ? ერთი როგორ დადის ოთახიდან ოთახში ბებური ჯადოქარივით და „დამანებე რა თავის“ იძახის, მეორე კიდევ სუ ტელევიზორს რო მიჩერებია? და ერთმანეთს რო შეჩხავით? შემეშვით, რა! მოფსით, დაიძინეთ და მოვალ. სამსახური თქვენ გამიჩითეთ. აქ რო აფურიო — მერე რას ეტყვი ლეო აფანასიევიჩს? მცალია მე პენსიონერული ცხოვრებისთვის? გავხდები სამოცი და მერე მეტლატავით...

— მოხვალ და აუხსნი ყველაფერს.
 — როცა მოვალ, მაშინ მოვალ.
 — შესამედ არ დამარეკინო!
 — თავი დამანებე!

3

— რა ლამაზია აქედან თბილისი... მოიცა, ჩემზე ხომ არ გითხრა რამე?
 — კი. რა მაგარი ყალბით ნახატი გო-

გოაო. აუჰ, რა იხსნება...
 — დავაი რა. ყალბი რა არი?
 — მე რავი... იმან თქვა, მე კი არა...
 — მერე შენ რა უთხარი?
 — წესიერად ილაპარაკე, თორე ღმერთი დაგსჯის-მეთქი!

— მაგარი დებილი ბიჭი ხარ რა, შოთა...
 — ჰე, მიდი, დავინყოთ უკვე! ცოტა ხანში ურაგანივით იქნება...
 — ოფ, ჯერ შენ!
 — ნინაზეც მე არ დავინყე? ვიზე მოვეყვი მაშინ?
 — მეშვიდებუ რო ცხოვრობს, აიმაზე.
 — ა, გამახსენდა. პოლიციელ ზაზაზე. მაგარი იყო.

— აუჰ, მეც ცუდად ვარ უკვე, დედიკო... მაგის ცოლს რა ქვია?
 — ვითომ მოდელი როა და სილიკონის ძუძუები რო აქ?..
 — ეგ მე მოვიგონე. ახლა შენი ჯერია.
 — კაი. ვიზე გინდა? ზინაზე რო იყოს?
 — ვაიმე, რა დებილი ბიჭი ხარ. ჩვენ გამყიდველ ზინაზე?..
 — მაგის ქმარიც მანდ არ მუშაობს? ზინა რო საწყობშია, ეგ ყილის.

— მერე?
 — ჰოდა... სასაცილო იყოს, თუ ისეთი...
 — სასაცილოც და ისეთიც... მიდი.
 — იტოვებ — მალაზიის გასალეზად დილას მოატყავებენ ზინა და მისი ქმარი.
 — რა ქვია მაგის ქმარს?
 — ნური. ვინ დაარქვა ნური, მე მაგის...
 — ჰოდა, ნური ილეს გასალეზების ასხმას და ბოქლომს ხსნის. მერე ჯერ ზინა შედის, შუქს ანთებს და უცხვს ისმის მისი საზარელი კივილი...
 — რა მოხდა?
 — ვირთხები არიან დახლზე...
 — ლადაობ?.. მერე?
 — სასაცილოც და ისეთიც... „ნური, ვირთხები არიან მაგაზინშიიიი!“ და უკან გამორბის. ნური კიდევ მარტო შერბის ხელში გასალეზებით და ბოქლომით და იქიდან მაგარი მტვრევის ხმა ისმის.

— ვაიმე. მერე?..
 — ზინა გარედან სიტყვით გამოდის: „ნური, არაპერი დალეცო, ისე უბეი!“
 — იქიდან კიდევ ნურის ხმა გამოდის ბოხი.
 — ნური სადაურია?
 — მე რა ვიცი, ნური სადაურია... ნური კი არა, ახლა მეც არ ვიცი სადაური ვარ...
 — მიშკას მამამ ხო თქვა? აუ. როგორ დამაყვივდა... რალაცა თქვა. სადაურიაო?
 — ნური სადაური სახელია?
 — ისა. ვეფხისტყაოსანში რა არი?
 — იქ რა უნდა იყოს? სუ ინდოეთი და არაბეთია. ქაჯეთია კიდევ...
 — არა, რა ქაჯეთია... კიდევ როა რალაც. იქაურიაო. მიშკას მამამ თქვა.

— არ ვიცი მე ეგეთები. ვეფხისტყაოსანი კი არა, ქალიშვილი ვარ საერთოდ.
 — მოიცა. გავიხსენო. მუ-ზე იწყება, მგონი!
 — წესიერად ილაპარაკე.
 — ნური არისო მულღაზანზარელიო და ეგრე მაგიტო ლაპარაკობსო...
 — ჰა-ჰა-ჰა... ვაიმე... ჰი-ჰი-ჰი... ჩავიფსამ ახლა...
 — ჰოდა, სად ვიყავით? ზინა რო... ზინა კი არა. ნური შევარდა მალაზიაში ბოქლომით და ზინა კივის გარედან: „ნური, არ დალეცო არაპერი, ისე უბეი!“ იქიდან კიდევ

4

— სად ხარ აქამდე?
 — სად ვიქნებოდი...
 — რატომ ხარ თავიდან ფეხებამდე გალუშპული? შენ ნორმალური ხარ თუ არა-ნორმალური? გაიხადე ახლავდე ფეხზე... და ეგ მაისურიც გაიხადე და ჩაიციო რამე! ალარ უნდა ისწავლო სახლში დროზე მოსვლა? ან მეხი დაგეცეს, ან რამე! რას შერე-ბი მერე?
 — პატრულში გადავრეკავ, სხვა რა ვქნა...



სამაჟო კარის თამაშები

იმ დღეს პირველად შევსრიალდი შენს ჯოჯოხეთში — ხელები ხელზე რომ დამადე, მაშინ ვიგრძენი, რომ გადმომენთო შენი წყველიადა — სულ რომ ანთია და ქარმა სული რომც შეუბეროს, აღარასოდეს რომ არ ჩაქრება.

ფუტკრებივით დაეხვივნენ ღამურები ჩემს გაშლილ თმებს და სარჭებივით ჩაეჭიდნენ ვერცხლისფერ ძირებს, არც კი ფიქრობდნენ შიგ გახლართული სხეულების მისგან გამოსხნას. შიგადაშიგ მინათებდნენ გზას ის სანთლები, ერთმანეთზე გადაგრეხილს რომ ვანთებდი ყველა ტაძარში. მეგონა, ჩვენი ერთადყოფნა ამიხდებოდა, მაგრამ არ ახდა... და კიდევ ერთხელ გამაცურა ჩემმა იმედმა და შენ ნახვედი.

მე კი, რატომღაც, ცხადად მახსოვს ის ჯოჯოხეთი — ხელები ხელზე რომ დამადე, მაშინ შემეხო და გადმომედო მისი ბნელი, სველი სიცივე. ერთ ღამურას დავიტოვებ-მეთქი, ვიფიქრე, სამახსოვროდ დავიტოვებ-მეთქი ჩემი ცალყბა სიყვარულისგან, ჩემი უკანასკნელი სიყვარულისგან, ჩემი ბოლო გაფართხალება სიყვარულისგან, ჩემი პირანია სიყვარულისგან... რომელიც ისევე მალე გაქრა, როგორც მოვიდა, მაგრამ აღარ მომიხდა, მისგან რაიმე დამრჩენოდა — ბოლო ღამურაც ამოვნიკნე თმების ბუდიდან და ფეხებით შევადექი მის უშნო სხეულს. ტუჩსაცხივით გადაეცხო ორივე ფრთა დახლეჩილ ასფალტს, სისხლის მაგივრად, ნემსებივით ჩარჭობილი ჩვენი დღეები და ღამეები გადმოასხა ვინრო ყელიდან —

ყველა დღე და ღამე გამოუწოვია, და ჩემი სიყვარულიც გამოუწოვია და ჩემი სულიც გამოუწოვია და ვერ ვიხსენებ, როგორი ხარ, ან თუ რას ვგრძნობდი, როცა მიყვარდი. უცნაურია: მარტო იმას ვგრძნობ, როგორ გიდექს შენი ხელები

სხვა ქალის მკერდზე და როგორ შეგყავს ნელ-ნელა და სვენებ-სვენებით შენს ჯოჯოხეთში... ამ ჯოჯოხეთში ჩემი სანთლები არ ჩირაღდნობენ, მაგრამ შენ შუქის გარეშეც კი ბედნიერი ხარ. ცუდია, როცა ყველაფერი ასე მთავრდება, თან მიხარია, ჩემს ამბავში სულ რომ დამთავრდი, ძლივს დამთავრდი, განელილი სერიალივით, მილიონებს რომ გაუტყრუა იმედები და თან გაიყოლა ჩემი გრძელზე გრძელი ზამთარი. ცუდია:

ჩემთან ძლივს დამთავრდი, ძლივს ჩაგიკითხე, შენთან კი, ვიცი, არც არასდროს არ დავწყებულვარ. ორი ამბავი მენანება გადასაყრელად — 1. ცხელი ზაფხული... პატარა სკვერი... ხის ვინო სკამი... სრული სიბნელე... შენი ტუჩები ჩემს მფეთქავ ყელზე; 2. და „მარშუტკაში“ ჩემი თავი შენს მხარზე — სუნთქვა... და სიახლოვე... და სიმშვიდე... და ძილი...

მაგრამ, რატომღაც, ასეთ ამბავსაც ჰქონია ბოლო, ჩვენი ამბავიც ჩაიფრფლა — ველარ აღდგება. ახლა რა ხდება? — შენ კარგად ხარ, მეც ძლივს გადავრჩი, წარმოსახვა კი აღარ შემრჩა და ჩემს გარშემო ყველაფერი რეალურია.

ცუდია, როცა სიყვარული თანდათან კვდება, და გული მწყდება, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ამ ამბის ბოლო, ვერაფერს შევცვლით და არც ვცდილობ, არც ვნანობ, მხოლოდ ამას გთხოვ — ჩემკენ ნურასდროს გამოიხედავ! ძლივს დაიძინა ჩემში გოგონამ და მისი ძილი სიკვდილს მაგონებს... არ იხმაურო, ძლივს დავაძინე, ნუ გააღვიძებ ჩემში დრაკონებს!..

5 გაუგზავნილი წერილი

N1 არ ვიცი, რამდენი ქალაქი განვა ჩვენ შორის, მარტო ის ვიცი, რომ ისინი შენთან ვერასდროს დამაშორებენ, შენ კი საერთოდ არ გიშლის ხელს



სოფო ნულაია

და ნერვებს სიგრძეზე განოლილი ეს ქალაქები; გვერდითა ქუჩაზე რომ ვცხოვრობდი, მაშინაც ვერ გრძნობდი ჩემს სიახლოვეს, მაშინაც ღირსეულად (ზოგჯერ უღირსადაც) ცდილობდი, ჩვენს შორის მანძილს ერთადყოფნას არასდროს ამოეშენებინა. მარტო მეგობრებთან თუ ნაიტრანაბებელი ხოლმე იმაზე, რომ ძალიან მიყვარდი. არ ვიცი, ამით რის დამტკიცებას ცდილობდი, არც მაინტერესებს. რაც იყო, იყო, მე უკვე მოგვედი და შენც კი ვერ გამაცოცხლებ, არც გიცდია, მაგრამ მაინც. ახლა ჩვენს შორის აბრღვევიალებული ქალაქები წვანან, ქალაქები,

რომლებიც თვალბის ხამხამშიც აღარ კარგავენ დროს. ეშინიათ, შუქის ფრიალს თუ შეწყვეტენ, გულისცემა სამუდამოდ არ გაუჩერდეთ. გუშინ სადღაც ამოვიკითხე: ჩინეთში ხელოვნური მთვარე გამოუგონიათ, გარე განათება რომ აღარ დასჭირდეთ. ამაზე დიდი პოეზია რაღა გინდა — სიბნელის არტახებში ორი მთვარე იქნება გამოკიდებული — ყველაფერი ბავშვის გულბურყვილო ნახატს დაემსგავსება, მაგრამ ბავშვის ნახატისგან განსხვავებით, დამთრგუნველად ნამდვილი და საზარელი იქნება. მახსოვს, ადრე ისიც მოგიყევი, მთვარის მტვრისგან საშენი მასალების დამზადებას რომ აპირებენ, მაგრამ შენ არ გააღვივებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ფსევდომთვარე, როგორც ვარაუდობენ, ქალაქებს მილიონების ღირებულების ელექტროენერჯის დაზოგვაში დაეხმარება; ჩვენს ქალაქში კი ისევ ნავის ურნებში იქექებიან სევდიანი მოხუცები და გაყინულხელებიანი ბავშვები, მოხუცები და ბავშვები, რომლებიც ყოველთვის ჩემზე მეტად გიყვარდა და გადარდებდა. ჩემს თუჯისფერ ქალაქში კი ისე ცივა, თითქოს, გვიანი შემოდგომა კი არა, სუსხიანი ზამთარია. ერთ-ერთ მაღაზიაში 18 წლის წინ გარდაცვლილი დედის საყვარელი სუნამო აღმოვაჩინე, დილით მთელი ფლაკონი გადავისხი, კარგი სურნელი აქვს, მაგრამ, ალბათ, უკვე ყველა შეანუხა თავისი უაზრო ყვირილით. „ჩემს ხმაურს არასდროს არავინ შეუნუხებია, მან მაინც იყვიროს ისე, როგორც შეუძლია“ — ვფიქრობ.

„ისე იკივლოს, როგორც გარდაცვლილი დეიდაჩემის კუბოსთან კიოდა, დღეში რამდენჯერმე რომ აპკურებდნენ, უსიამოვნო სურნელის გასაქრობად“. სამსახურის პატარა ოთახში კი ოთხნი ვსხედვართ:

ყველანი ჩვენს ნილ კლავიატურას ვანკაპუნებთ, ისინი ჯერ ისე ახლოს არ მიცნობენ, რომ მითხრან: „ამდენი არ უნდა დაგესხა“. მე ჩემთვის ვზივარ, „თარგმანში ჩაკარგული...“ ისე ჩუმად ვარ, თითქოს, არაფერი დამიშავებია — რაღაცით ხომ უნდა გამოვხატო, რომ შენზე ვდარდობ, იმაზე მეტად ვდარდობ, ვიდრე ოდესმე ვინმეზე მიდარდია!

N2 თბილად ჩაცმულები ხის სკამზე ვსხედვართ უსახურ სკვერში, ხელთათმანებშიც აღწევს შენი ხელების სითბო. მე ჩემი სმარტფონის კამერას

ჩვენი სახეებისკენ ვატრიალებ, მინდა, ჩვენი პირველი სელფი გადავიღოთ. სმარტფონი უხილავი სხივების საშუალებით თამამად აღწევს ჩვენს სულებში, სველი ხელები რომ შეგვახოს, ანაბეჭდები აილოს და სულ რამდენიმე წამში მოპირდაპირე მხარეს გაგვიმეოროს: — ჩემი თვალებიდან სინათლე ცვივა, შენი თვალებიდან — გაკვირვება. — რატომ გადაიღე? — მეკითხები, — ცუდის ნიშანია ფოტოს ნინასნარ გადაღება. (რატომღაც ქელების ამჟავებული კორკოტის გემო და იმ ქალის მოჭრილი მკერდი მახსენდება, ჩემთან ერთად რომ გაუკეთეს ოპერაცია, მისი სხეულის მოჭრილ ნაწილსაც ცხადად ვხედავ — გამჭვირვალე პარკში რომ გაახვიეს და კიბებზე აასეირნეს, როგორ არ მიწოდდა დამენახა, მაგრამ თვალი მაინც მოვკარი)... ფოტოები ვერასდროს მალავენ ტკივილს, ისინი ჩვენი სულის ანაბეჭდები არიან და არა სხეულის ტალახიანი ნაფეხურები. მე ჩვენს ფოტოზე სიხარულს ვასხივებ, იმიტომ, რომ მარტო არ ვარ. შეიძლება, მეჩვენება, მაგრამ მეგონი, ერთმანეთს ვგავართ, უფრო სწორად კი, ერთმანეთს თანდათან, ნელ-ნელა ვიმეორებთ. შენი გამეორება ადვილია — შენი თვალებიდან ყოველთვის გაკვირვება წვეთავს — გიკვირს ჩემი ასეთი სიყვარული — გულის სიღრმეში გგონია, რომ არ დაგმისახურებია. ჩემი გამეორებაც ადვილია — როცა შენთან ვარ, თვალებიდან სიხარული მცვივა, მართალია, ზოგჯერ მარტოობაც იწყებს გამოუწოვას, მაგრამ შენ მარტო პირველის გამეორებას შეძლებ, მეორე შენთვის არ არის, ეს შენ ვერასდროს ვერ უნდა ნახო! — არ მინდა, ეს ჩვენი ბოლო ფოტო იყოს — ვამბობ. შენ თვალებიდან ნითელი ჭორფლებივით გცვივა გაკვირვება.

მიყვარს შენი ჭორფლები — სახეზე ხორბლის მარცვლებივით რომ გაყრია.

N3 ათი ათასი კილომეტრით ჩემგან შორს — იბადებოდი...



ბებიაქალი საგულდაგულოდ გაჭრიდა ყელზე შემოხვეული გზების ხლართებს, რომლებსაც ჩემამდე უნდა მოეყვანე... და ვერც ერთმა გზამ ვერ მოგიყვანა. ათი ათასი კილომეტრით ჩემგან შორს, სხვების გზებზე იდგამდი ფეხს და გიყვარდა და ელოდი და გძულდა და იცოდი, რომ არც ერთი გზა არ იყო შენი და მაინც დადიოდი, სიარული რომ არ დაგვიწყებოდა... და ათი ათასი კილომეტრით შენგან შორს ვიბადებოდი და ჩემი გამხდარხელება ბებო დანაოჭებულ შუბლს წვიმის წვეთებს უშვერდა და ღმერთს, რომლისაც ყოველთვის შენზე და ჩემზე

მეტად სჯეროდა, შენი და ჩემი გზების ერთ გზად ქცევას სთხოვდა და ღმერთმა შეისმინა მისი გამხდარი ხელების და დანაოჭებული შუბლის და მისი ხელებივით დანაოჭებული გზები, რომლებიც წლების წინ უცხო ხელებმა გადაგვიგლიჯა — გაამთლიანა.

მე კი არ მჯეროდა, რომ გიყვარდი და ვიდექი ჩემს გზებზე, რომლებმაც შენამდე მომიყვანა, ვიდექი ყურებში ხმაურით, რომელიც თითქოს, მარტო იმიტომ ჩამესმოდა, რომ შენს დუმილს სამუდამოდ არ დავეყრუებინე და მინდოდა მეთქვა — ნუ შეგეშინდება ამ ხმაურის და ტკივილის, რომელსაც ყოველ დღე ვსუნთქავ და ჩემთან ერთად შენც სუნთქავ და ნუ შეგეშინდება ჩემი ტირილის, რომლითაც უკვე შენც ტირი და ნუ შეგეშინდება ჩემი მარტოობის, რომელიც შენც ჩემსავით შემოგეჩვია და ნუ შეგეშინდება ჩემი დაკარგვის — ყველა გზაზე, რომელიც არ უნდა აირჩიო და ვისაც არ უნდა ექებდე, მე მიპოვი და ნუ შეგეშინდება ჩემი ერთგულების, ის შენს ღალატზე საშიში არ არის, და ნუ შეგეშინდება ნისლისფერი სიზმრების, ყოველ ღამე ჩემთან ერთად რომ ხედავ, ნუ შეგეშინდება ჩემი ჩახლართული, ადგილ-ადგილ გადაგლეჯილი, მაგრამ მაინც ერთიანი გზების, ისინი ხომ მარტო იმას ნიშნავს, რომ მიყვარხარ. სიყვარული კი, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, არასდროსაა საშიში.

N4
შუა ოთახში ასვენია ჩემი მარტოობა, ბუზები რომ არ დაესიოს, ყინულის ნატეხები შემოვულაგე. ისე დგას, ფეხზე არავის გამოედება, ზედმეტად უსახურია იმისთვის, რომ ვინმემ შეამჩნიოს.

შენ კი, თითქოს, ცხოვრებამ მისთვის თვალის დევნება მოგისაჯა — კუთხეში დგახარ და ხედავ, შავად შეღებილი თმებიდან როგორ წვეთავს ჭაღარა, როგორ ჟონავს მოჭუტული თვალებიდან სიბნელი, გაყვითლებული ფოთლებივით როგორ მცვივა სხეულის ნაწილები...

მარტო შენ ხედავ ჩემს უსახურ მარტოობას და ცდილობ, დამიძახო, პირი კი თევზებით გაქვს სავსე... იქნებ, ოდესმე შეძლო და დამიძახო, მაგრამ იცოდე, შენს გამო სიკვდილიდან აღარ დავბრუნდები — დიდ ხანს ვიარე მარტომ და მთელი ნახევარი გზით — ნახევარი ცხოვრებით ავცდი.

N5
ჯერ ნუხანდელი ნასუფრალი გადაგმინდე სხეულიდან, მერე ახლადდაკლული ჩემი თავი გადაგაფარე. იმედი მქონდა, სულს შემებერავდი და ბაბუანვერასავით გავიფანტებოდი, ჰაერში თუ არა, სადმე მაინც. რას ვიფიქრებდი, მიცვალებულზე ფეხებით შედგომის თუ არ შეგრცხვებოდა და დაუმარხავს დამადებდი შუა ქუჩაში ბოლო ლუკმასავით, რომელიც არასდროს არავის შეერგება — ბავშვობაში გადაცდენილი მძივის ბურთულასავით გაეჩხირება და ისე დაახრჩობს, ვერც მიხვდება, როგორ და რატომ მოკვდა. წასვლა მაშინაა ადვილი, როცა შენს ადამიანებს გვერდებში მინას შემოუკეცავ, მხრები რომ არ გაეყინოთ

და ფეხაკრეფით გაიპარები მათი საფლავებიდან. მე კი ამქვეყნად ყველაზე შენი ვიყავი, მარტო შენი და მაინც დაუმარხავი დამტოვე, არადა, ასეც ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო: ხელზე იმდენჯერ ჩამჭიდებოდი, რამდენჯერად გაგისხლტი და სიკვდილისთვის ცოტა ხნით მაინც გამოგეგლიჯე?!


შუშის ქალაქი

ფრთებს იკეცავს უცხო ქალაქი, რკინის ნისკარტს კი გაყინულ ტბაში ანობს და ეძებს; იქნებ, იპოვოს სადმე მზის წვეთი — შუშის სხეულში რომ შეაღწეოს; მერე აღსდგება და ყველა გზას ყელზე მოიხვევს თბილი შარფივით, ყველა მგზავრს თავზე გადაუსვამს გაყინულ ხელს და ყურში ეტყვის: „არც ისე ცუდია აქ ცხოვრება, შენ რომ გგონია. ერთ დღესაც აქაც აყვავდება შუშის სახლები — პატარების ფერად კაბებს და ზოლიან წინდებს გამოისხამს ცათამბჯენები; ყველა ასფალტი „კლასობანას“ ბადეს მოიქსოვს; „მაკდონალდის“ შესასვლელთან ხახადაფჩენილი ბურგერების უზარმაზარ რიგში ჩადგებიან თქვენი შვილები, ფერადთმიანი გამყიდველი კი ნითელ ბუშტებს დაურიგებს ყველა პატარას. ნუ გეშინიათ, მალე აქაც მოვლენ ბავშვები!“ მერე ხელს კი ფრთხილად დააფარებს ტბის პირას გამოიყვანილი პატარას სხეულს, ჟურნალისტების კამერებს და მომავალს რომ სამუდამოდ გადაუმალოს.

კადრს დაწერა: „ათი წლის წინ“ და ვძერწავ იმ წლებს, დუმილი და მაინც ხმაური რომ შემომაჩვიე. შენთვის იჯექი ცხელ ასფალტზე ჩემსკენ ზურგით და სხვას უყურებდი — მე ერთხელაც ვერ შემამჩნიე. და ეს დღეები უშენობით რომ იყო სავესე და მაინც შენი არსებობით მარაგდებოდა, იფშვინტებოდა, როგორც წყალში ჩამბალი პური, კვდებოდა, მაგრამ არც სიკვდილით არ მთავრდებოდა. და მე ვიხსენებ უჩვეულო ხელების თამაშს — ჩემი სუნთქვა რომ გვირავს თხრიდა

შენს დალილ მხარზე, მერე კი უცებ შენმა სუნთქვამ გადამიარა, როგორც მანქანამ, და უპატრონოდ დამაგდო გზაზე. მერე კი დადგა შემოდგომა და, როგორც კუბო, გამოვასვენე ფიქრებიდან ძველი ზღაპარი, გვერდიგვერდ ინვინე უჩვეულოდ ცივი ივლისი და უხმაუროდ გარდაცვლილი ჩვენი ამბავი.


დარდის მტკერია შავი პერანგი, წლების წინ რომ ჩაიცვი და ჭრელი კაბებით საგულდაგულოდ ემაღავ. ვალმოხდელი ფოთოლივით ეზოს მხრიდან ვეკვრი ფანჯრის მინას. იმდენი ამბავია შიგნით — ყველა რომ ამოვყარო და მეც თან გავყვე, ფოთლების ტყით დაიფარებოდა ჩვენი ქალაქი, მაგრამ ვის რაში სჭირდება ან ტყე, ან ფოთლები... ყველას საკუთარი ტყეებით აქვს პირი სავსე და გამოგონილ დარღვევა ეფიქრება. ჩვენ, 90-იანი წლების ბავშვებს, აღარ გვჯერა სიყვარულის, რადგან მარტოობით იმაზე დიდხანს ვიცხოვრეთ, ერთ ცხოვრებას რომ გადაამლაშებდა და სასწრაფოდ გადასაღვრელს გახდიდა და ტკივილებიც ერთი ცხოვრებისთვის ზედმეტად ბევრი იყო და სხვებისთვის გააუგებურა ჩვენი ამბები და იმედგაცრუება იმდენად ბევრი იყო, რომ უკვე აღარ გვჯერა არაფრის და არც ერთმანეთის, მაგრამ იმის სურვილით, რომ ძალიან გვიინდა რამის გვეჯეროდეს, ვთამაშობთ, თითქოს ჯერ კიდევ გვჯერა, რომ ამ დაჯერებებში მაინც გადავრჩეთ და გვეგონოს მაინც, რომ სული ჯერ კიდევ შეგვრჩა, ზამთრის ქარებისთვის არ გადაგვიყოლებია ვალმოხდელი ფოთლებივით, ამიტომ, თუკი შემთხვევით ჩაივლი ჩემს ფანჯარასთან, ღია რომ დამჩნა, გამობრუნდი და მიხურე — ძალიან ადვილია.



დასასრული

— ლობიო გამოიღე მაცივრიდან! სალათიც მანდა. ჭადიცი. და ნუ სვამ ცივ წყალს საღამოობით!
— ყელი მაქ მშრალი. და მეორეც ერთი, რძეა ეს!
— რძე რა, ცივი არაა? ჩაიცვი, გითხრეს! გაცივდები და მოკვდები! რატომ უდის მაისურს უცნაური სუნი? ვინებთან დაეთრევი?
— დე, მეძინება.
— იდიოტო შენ! არსად არ გააადგამ ფეხს, ვიდრე ბოლომდე არ მომისმენ!
— იფ, ასწორებს ცივი კისელი!
— რა ამბავია ასე ველურივით მოხვრება?! ეგ გასწავლე მე?! რა არის ეს?
— რა?
— რა და ეს — ხელისგულზე რაც მიდევს! ვიპოვე! ჩვენ საძინებელში. საწოლების ქვეშ ეგლო. მამაშენი შენ-კენ იმეგრს ხელს... ვაიმე, რა დროს ზარია! მამაშენი მოეთრა ალბათ ისე... მაგრამ ეგ არ მოვა... აბა, ვინ იდიოტია? აღარ იციან არც ზრდილობა და არაფერი!.. მოდიან ამ შუალამისას!
— ისეც ზარია, დე. გავალო?
— იდექი აქ და ფეხი არ მოიცვალო. მე ვიზამ. იზა იქნება ალბათ გარაჟების ხელმონერაზე...
— ვინაა, დე?
— შოთა, ჩვენი მეზობლის გოგოა, შენ გკითხულობს.
— ვინ მეზობლის გოგო? შემოიყვანე მერე. ეგრე იცი სტუმრის მიღება?
— მობრძანდი, შვილი, აქეთ. აქ არის შოთა. პატარა ევრო-რემონტივით გვაქვს ოჯახში. ამიტომაა ავეჯის ნაკლებობა. სხვა რამე არ გვეგონოს, შვილი.
— ვა, თამნა? აქ საიდან დაიხატე, ტო?
— გამარჯობათ, მე შოთას მეგობარი ვარ. თამნა. გვერდითა კორპუსიდან. გამარჯობათ.
— რა ლამაზი გოგო ხარ. მობრძანდი, შვილო, აქეთ. აგერ დაჯექი...
— არ შეგანუხებდით ასე გვიან და ამ წვიმში, მაგრამ...
— რა ხდება, თამნა? ხო მშვიდობაა?
— შოთა, გუშინ რომ ვიყავი აქ სტუმრად... საყურე დამჩნა.
— რაააო?
— უკაცრავად, მაგრამ ახლა აღმოვაჩინე, რომ არ მიკეთია ყურზე, და შემთხვევით ხომ არ გიპოვნიათ?
— ჰა-ჰა! რა საყურე თამნა? შენც გააფრინე?
— შოთა, ახლავე ამისხენით რა ხდება ამ მართლა ჯოჯოხეთში!
— დე, ნუ შეგვეცი, მე შენ გეუხნები!
— დამანებე თავი! იდიოტო, იდიოტებო! მატყუარებო! წავედი მე! წავედი. სულ წავედი! კარგად ბრძანდებო-ვით! ტფუი თქვენ ყველას! წავედი მე, გაზის ამბავს გაუკვეცე და დღეს არ დავინახო მომიკითხოთ სადმე ან მეძებოთ! მე ვიცი, როდესაც მოვალ. ნახვამდის!

— მართლა, სერიალივითაა... — ამოიკვნესასავით მურადოვმა და მიშას შურით გამოხედა...
— მერე რა მოხდა? — იკითხა ღამბაშიძემ.
— ვერა-რეჩკამ ადიდება დაიწყო და ზოოპარკიდან ცხოველები გაიქცნენ...
— და ესენი?
— დედ-მამა პაბეგში... გოგო და ბიჭი მარტოები სახლში... გავაგრძელო?
— არა...
ქალაქარე ფინური კოტეჯის სხვენში ისევ ფიჭვის და ძველი წიგნების სურნელი იდგა. სახურავის ღრეჭოდან შემოპარული უკვე შუადღის მზის სხივი ობობის ნაქსოვ აბლაბუდას სულ ოქროსფრად აბრწყვიალებდა. იქვე სამი ღამურა ეკიდა თავდაყირა — გალურსული ღამის გუშავები თავ-თავიანთ სიზმრებში ნებეირად დაბორილობდნენ.



სოციალური ავსტრალიელი



სემიზ ბეის ბარდავასალი ჩაიხანა სოლანლუღი

აპპაპაპა... მეტი ჩაი აღარ გინდა, ელვირჩიკ. ძია სემიზ, კაი, აღარ გამოატანო რა. ვეღარა ვსვამ, ძალაა, ე, მამაძალი?! ის კი არა ვარ... ლედი ვინმე, რავი. ლედი ბეინგემი. აი, ინგლისელი ლედები რო არიან. დიდი ძუძუები რო აქვთ და პატარა ტრაკები. სოლარიუმში არასდროს რომ არ დადიან და ძალიანაც ამაცობენ სითეთრისგან ანთილეზული კანებით, იმიტომ, რომ თავიანთი სისხლი ცისფერი ჰგონიათ. აი, მაგ ლედიებს უყვართ ბევრი ჩაის სმა. სულაც ცხენზე რო კატაობდნენ, ჩამოხტებიან მოხვრევენ და მერე ისევ გააგრძელებენ კატაობას, იმიტომ, რომ ჩაის დრო როა, ესე იგი, ჩაის დროა და აღარ უნდა მანდ ტუფტა მასლათი. მაგათ უყვართ ჩაი და კიდევ უყვარს ჩემ ძმაკაც არკადას. იმასაც ვერ დააბრალებ, სულ ჩაიზე ლაპარაკობსო, მაგრამ ყავას ჩაი ურჩევია და ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩაი მაგრად უყვარს და ხანდახან სერვიზითაც მოაქ ხოლმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე არ მევალება ჩაი, მაგრამ სერვიზით რამეს რომ დაათრევ და როცა გისწორდება, რო გადარკავ, მაგარი კომფორტია. ვახ, სემიზ ბეი, აღარ მინდა ეს ჩაი და რა ვქნა?! თუ არ დავლევ, იაბანჯი ვიქნები? იაბანჯი დალალიოო... იაბანჯი რაღაა, ნეტა? ჰა, მაიტა, ელვირჩიკ, ერთსაც შეხვრევა. ისე, მაგარი ჩაი გამჭვირვალე ჭიქაში. იცი, რატო სვამენ გამჭვირვალე ჭიქით ესენი? ჰო, ესენი დიდი კრუშკებით არ სვამენ ჩაის ჩვენსავით. არა, პრინციპული ამბავი არ არი. რო დაუდგა, დალევენ, მაგრამ ჩაიხანაში არ აქვთ ეგეთი ჭიქები. მარტო მომცრო, გამჭვირვალე ჭიქები აქვთ და იმით შექცევინ ჩაის. შუშის ჭიქები ფეტიში აქვთ, იმიტომ, რომ ალკაგოლები არ ევასებათ და ჭიქები კიდევ ელამაზებათ. ჰოდა, გადანყვითეს, რომ ჩვენ ჩაის დავლევთ ეგეთი ჭიქებითო. კაცმა რომ თქვას, არ ევასებათ კი არა, არ ესმებათ. მე ვერ ავხსენი კარგად. ჰო, არ ესმებათ. დამერთი ყავთ ეგეთი. ყველას თავის ღმერთთან გაუმარჯოს. ყველა ღმერთი კაი ტიპია. კიდევ ძალიან ბევრი რამ ასწორებს სოლანლუღის ჩაიხანაში. აგე, ელვირჩიკას თუ სცალია, ათას ერთ ღამეს მიკითხავს ხოლმე არაბულად. მე არაფერი მესმის, მაგრამ მაგარია. ელვირჩიკამ იცის არაბული, სემიზ ბეი გარტყმაში არ არი. ელვირჩიკა დოჰაში მუშაობდა სამი წელი საუკეთესო სასტუმროში შვეიცარად. იქ ისწავლა არაბული და კარგი ჩაის დაყენება. აქ ჩემს გარდა მუდმივად არიან საოცარი ადამიანები. პოეტი და ჯარისკაცი. ოლონდ რალაცნაირი ჯარისკაცი. რაღაცა სტრანნი ფორმა აცვია და კომუნისტებს აგინებს. ესე კონკრეტულად იშვიათად ამბობს, კომუნისტები, მაგრამ მე მივხვდი, რომ კომუნისტებზე აქვს გართულება. ერთი ცნობილი მხვრეტელი კომუნისტი ჩემი მოგვარე გახლდათ და ეგ სულ იმას

ავინებს და ასე მივხვდი, რომ კომუნისტებს აგინებს. მე პაპუნა ვარ ბერიძე. ის კომუნისტი ლერი ბერიძე იყო. ჰოდა, ჯარისკაცი სულ იძახის, რომ ვილაცები რომ დაბრუნდებიან საფრანგეთიდან, ლერი ბერიძეს თავს ნაცლის. არა მგონია, ანდროპოვი უყვარდეს, მაგრამ ლერი ბერიძეზე სერიოზული გართულება აქვს. რატო, არ ვიცი. ძია სემიზის ჩაიხანაში არასდროს თავდება ჩაი და ყოველთვის უნდა დალიო ის. ეგ თუ მინუსია, ეგ მინუსი ნაღდად აქ სემიზ ბეის ჩაიხანას. თან რაც უნდა გასაკვირი იყოს, სოლანლუღის ჩაიხანაში ტულეტს ვერსად ნახავ და რომც ნახო, საერთოდ არ გინდება ტულეტში. როგორც ძია სემიზი ამბობს, ცოტა კიდევ უნდა დავიცადო და როცა მათა მოვა, მაშინ შემეძლება ნასვლა სოლანლუღიდან.

— ამ გადაკარგულში რას მომარბენინე, შე კაი კაცო? ჩემთან სტუმრობა აღარ გეკადრება? — იკითხა გენერალმა ლევან მიქელაძემ და ცხენიდან ჩამოხტა.

— სად უნდა გესტუმრო? სოლოლაკში? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ჩეკისტმა ლერი ბერიძემ.

— სოლოლაკში, აბა, სად? პარიჟში არ მაქვს სახლი, იცი ეგ შენ... — დაიბნა გენერალი.

— ვიცი, რო? — ბერიძე ცინიკური იყო.

— ვერ მივხვდი, ლერი... — მიქელაძემ პაპიროსს მოუკიდა.

— ანდაც სად შეპატოვები, ნეტავ ვიცოდე. ეგეთი უნამუსობა არ გამიგია... კაცს სახლი არ ეკუთვნოდეს, იჩემებდეს ჩემიო და თანაც, ვილაცებს ეუბნებოდეს, მოდი, მოდი, მესტუმრეთო... — ჩეკისტი წამით არ კარგავდა ცინიკურ ინტონაციას.

— რეებს ბოდილო, კაცო, შენ? მთვრალი ხარ?

— უფხიზლესი ვარ, მეგობარო!

— ჩემი თუ არ არის, აბა, ვისია ის სახლი?! — ხუმრობანარევად იკითხა მიქელაძემ.

— დიდი ხანია, ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნის — მათ შორის, შენი სახლიც, ცხენიც და მუნდირიც, თავადო თუ გენერალი, თუ რაც ხარ... — უცრად ბერიძე ძალიან სერიოზული გახდა.

— მგონი, ამ ახალმა ლატაკმა რუსებმა ყველას სისხლი გამოგიცვალეს. ნავედი მე შენ საქმე გამოგლევი, ძმაკაცო, და აქ ჩემ გამასხარავებას ცდილობ, — გენერალი ცხენისკენ წავიდა.

— სად ნახვედი? — კითხვა დაანია ბერიძემ.

— სახლში ნავედი, ლერი, სახლში...

— აღარ არის მეტი ის სახლი შენი. თუ არ გინდა, გული არ გაგისკდეს, აქ დაეტი. დამიჯერე, მართლა მოკვდები, როცა

დაინახავ, თუ ვინ და რამდენი შევასახლეთ დღეს დილით შენს სასახლეში, სანამ შენ აქ ჩემს სანახავად მოჰქროდი, კნიააზ. შენი სახლი ახლა კომუნალკაა, მეგობარო, — ლერიმ ასევე მოუკიდა პაპიროსს.

— დამცინი? — მიქელაძე სიტუაციას კვლავ ვერ აღიქვამდა სერიოზულად.

— რა იყო, არ მოგწონს სოლანლუღი?! დღეიდან შენი სახლი სოლანლუღი იქნება და სჯობს, შეეგუო ამ ადგილს. თან რაც შეიძლება მალე.

— რეებს მიჰქარავ, შე განთლებული ნაბუშარო?! — მიქელაძემ პისტოლეტი ამოიღო.

— რატომ ბრაზდები, მიქელაძე? ერთი შეხედვით ხრიოკია, მაგრამ ზღაპრული სახელი აქვს. მზიანი და ნითელი სოლანლუღი. ხედავ? ჩვენს ქვეყანაში უკვე ყველაფერი ნითელია... — ნარბუშურელად ტიტინებდა ბერიძე.

— შენც ბოლომდე წყალს ნაუღიხარ, ჩემო ყრმობის ძმაო, — სასოწარკვეთილმა გენერალმა იარაღი შეინახა.

— გაჩერდი, ბიჭო! — დაუყვირა ბერიძემ უცრად გაჩენილ სამ რიგით ჩეკისტს.

— რას აკეთებ, ლერი?! — ლევან მიქელაძე უიმედო გაურკვევლობაში იყო.

— მე რას ვაკეთებ? ჩემი ბავშვობის ძმაკაცობის ხატობა ამდენი წელი რომ არავინ შეგვება, აი, მაგას ვაკეთებ. შენს გარშემო ყველას რომ წესი აუფეს, ვერ ამჩნევ, არა?! თითქმის ყველას ხიშტზე აგებენ, შენ კი დღემდე ისე თბილად ცხოვრობდი სოლოლაკში და, აი, ზუსტად მაგას ვაკეთებ მე! მაგრამ შენ უმადური ხარ, თავადო! მომინდომე კონსპირაციული მიმონერა პარიზში... მაგ უმადურობის გამო და კიდევ იმის გამო, რომ გუნდში სახელი გამოიტეხე, დღეს დაუფიქრებლად გაგიხვრეტ შუბლს! მუხლებზე დააყენეთ! ბერიძის სფირის შემდგომ რიგითმა ჩეკისტებმა მიქელაძე დააჩოქეს.

— მოვა დრო და მიწიდან ამოვიღებ, შე უგულუო კაცო! — ამოიხროტინა მიქელაძემ.

— შენთვის ეგ დრო აღარასდროს მოვა. შენ აღარ ხარ, ლევან... ფაფუ... — გაიცინა ბერიძემ.

— ბოლო სურვილი ხომ არ ვათქმევინო? — გაიცინა სამიდან ერთ-ერთმა ჩეკისტმა.

— ეგეც მოკალი... — ბრძანა ლერიმ. ჩეკისტს ტყვიამ კისერი გაუპო და ადგილზე გაშხლართა.

— შენ კაციჭამია გამხდარხარ, ჩემო სიყრმის ძმაო, — დანანებით ჩაილაპარაკა ლევან მიქელაძემ.

— ჩემს ძმაკაცებს ვერავინ დასცინებს! აი, ამიტომ მოკალი, ლევან... მიყვარხარ, თავადო, მაინც მიყვარხარ, — ლერი დაროქილ ლევანს გადაეხვია.

— გაიხარე, კაპიტანო. მადლობა... — დამცინავად გამოსცრა მიქელაძემ.

— მაგრამ საკუთარი თავი უფრო მიყვარს. ამიტომ დღეს შენ უნდა მოკვდე... შენ რომ არ მოკვდე, მე მოკვდები, ან თანამდებობას დაკარგავ. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გზა, ლევან... — იარაღმომარჯვებული ბერიძე წინ და უკან დადიოდა.

— რა გზა? — მიქელაძის თვალებში იმედი ჩადგა.

— ის გზა, რომლის გამოც, შესაძლოა, თანამდებობაც დავივიწყო და სიცოცხლის ხანგრძლივობაც, — ბერიძემ გველურად ჩაილიმა.

— რა გზა-მეთქი?! — მოუთმენელი გახდა მიქელაძე.

— შენი ცოლი...

— მაშო? რა შუაშია მაშო? — დაიბნა მიქელაძე.

— ბავშვობიდან მიყვარს მაშო... დავიჯერო, ვერ ხვდები? მაშო დამითმე და არ მოგკლავ. ანდაც მოგკლავ და ჩემით მივიღებ იმას, რაზეც სულ ვოცნებობდი, — ტონი გაეზარა ბერიძეს.

— შენი დედა მოვტყან! შეენი დედა მოვტყაან!

ჩეკისტები ძლივს აკავებდნენ გამხეცვებულ მიქელაძეს.

— უთხარი მაშოს, რომ თავისი ნებით გამომყვეს და არ მოკვდები. მალე მოიფიქრე, ხუთ წუთში უნდა მოგკლა, — მშვიდად აგრძელებდა ლერი.

— რა უნდა მოვიფიქრო, შე სუნიანო. ოდესმე, სადმე, იქ მაინც გადაგყვები და დედას გიტყვებ. ადგილზე გაგათავებ...

ჩეკისტები კვლავ აკავებდნენ გაცეცხლებულ გენერალს.

— ნუ, პაუალუსტა... — ჩაილაპარაკა ლერი ბერიძემ და ბავშვობის მეგობარს შუბლში ესროლა.

სოლანლუღი სოფელია, ძევს ტფილისის განაპირად... თუ არ გიცნობს, ხმას არ გაგცემს, არ მიიტანს დანას პირად...

მე რომ ქალაქის მერი ვიყო, ერთ ძალიან მაგარ რამეს ვიზამდი. თანაც რამე ახლის მოგონება არ მჭირდება. ეგ რამე უკვე მოგონილია ახალ იორკში. აი, ჰო არი უბნები, ჩაინათაუნ, ლითლ ითალი და რალაცები... იმიტომ, რომ ერთგან ბევრი ჩინელები ცხოვრობდნენ, მეორეგან კიდევ ბევრი იტალიელები. ჰოდა, სოლანლუღი იქნებოდა აზერთაუნი, გლდანი კიდევ ლითლ ქურდისტან! მაგრამ გლდანი ადრე იქნებოდა ეგრე. ხრუშჩოვის დროს. ეხლა ქართველები მეტნი არიან გლდანში. უპატრონო ქართველები, მაგრამ მაინც ქართველები. სანათესაო წრით და სასიყვარულო ისტორიებით. მერე რა, რომ გლდანელები არიან?! მათაც შეუსვამთ ლამაზი სასმისით სამშობლოს ერთიანობის სადღეგრძელო და სხვა ქალაქებში ეგენიც მარიაჟობენ, თბილისელები ვართ, ბიჯოო... რა უცნაურია, მაგრამ ელვირჩიკამ კიდევ ერთი სტაქანი ჩაი მომიტანა. რაც აქა ვარ, მილიონი ჭიქა ჩაი მექნება დალეული, მაგრამ ერთხელაც არ მომიფასა. ნამდვილად გასაგიჟებელი ამბავია, მაგრამ ჩაიხანაში ისეთი ჰარმონია ძევს, სულაც არ ძალიან გაგიჟება. საერთოდაც, სულაც ნუ მოვა ის მათა თუ ვილაცა. ვიჯდები ჩემთვის ჩაიხანაში და შევექცევი რახათლუხუმს. მე ყავისფერი რახათლუხუმი მიყვარს და აქ აქვთ დოხრენა. მოაქვთ და მოაქვთ ჩაისავით. როგორ იქნება აქედან ნასვლა ფოტოს გარეშე?! მაგრამ განერილი ეგრეა, რომა ჩემი მაგიდიდან არ უნდა ავდგე, ჩემი მაგიდიდან კიდევ არაფერი არაა სჩანს და ფოტო რო გადავიღო, რატო გადავიღო?! მასე ჰო ჩაის სახლშიც გადავიღებ... ეგეც ჩაიხანაა. მე რომ აქ ფოტო გადავიღო, ისეთი ამბავი იქნება... ჰეჰე... მაგარი ამბავია ეგა. მოკლედ, სანჩო ვარამაშვილი იყო ერთი იმერელი მომპარავი. სანჩოს სიდაბლის და სიმსუქნის გამო ეძახდნენ, პანსას პონტში. ჰოდა, ერთხელაც სანჩო რომში ჩავიდა და სურათიც გამოამზეურა, აგეო, რომა ე ჩიჭა დი ამორეო. მაგრამ რა აზრი აქვს რომში გადაღებულ ფოტოს, როცა პრადოს ეყუდები და ფოტოზე შენთან ერთად მხოლოდ ეს პრადო ჩანს?! მასე ვარკეთილშიც მიყუდები პრადოს და დაანერ რომში ვარო. მე შენ გეტყვი, ვინმემ რამე არ გაიგოს. ცაზე იცნობენ ვარკეთილს, თუ რა?.. აგე, ელვირჩიკამ ათას ერთი ღამის კითხვა დაიწყო ემირატულ დიალექტზე. გენერალი და პოეტიც ჩატკბილებულები უსმენენ, გეგონება, რამე ესმოდეთ. პრინ-

ციკლი, არც მე მესმის, მაგრამ ლამაზად გამოსდის ამ ჩემის ჩაიტრანსპორტირს. ჰალდენ ჰაზრა ჰამდულეია, აიიიტტტ... ეჰ, ელვირჩიკ, შენ რომ ათას ერთი ღამე და მე რომ მიყვარს პამელა მორისონი. ახლა მე მადროვეთო, პოეტი ნამოინია. ნუხელის, თქვენ რომ გთვლემდათ და მაინც ჩაის ხვერცხლით, მე ერთი პატარა ბნკარი დავენერე და მიწა, გაგიზიაროთო. გენერალმა ახედა და დაეტიე, თუ კაცი ხარ, რალა დროს შენი ბნკარებიო. ეხლა მაგის გამო გაგათავებენო. ისაო, ესაო... ეს გენერალი მაგარი ტიპია ისე. ჩვენ დროში ლექსის გამო ვინ მოგკლავს?! მოკლედ, პოეტს ეწყინა და გასძახა, აქ ყველანი თანასწორნი ვართ, თავადო მიქელაძე და თუ შეიძლება, პრიკაზებს ნუ იძლევიო. არც ვიცოდი, მიქელაძე თუ იყო. მაგარი გვარი ჰქონია. თანასწორობის გაგონებაზე ნამოჭარხლდა თავადი. ტიცინი, შენი სოციალისტობა ჰალა მაკლიაო. მაგათი ამონყვეტა იყოსო. მერე ისევე გაახსენდა ლერი ბერიძე და დაიდრო მაუზერი მუნდირიდან. მაგ ჩაიხანაში ბერიძე მარტო მე ვიყავი, ჰოდა, შემეშინდა, მე არ გამაგოროს-მეთქი. ხელეები ავიფარე სახეზე და ეგრევე მიხვდა, როგორც უნდა შემაშინა. დამშვიდდი, ახალგაზრდავო. შენ რა შუაში ხარო. ჩემთვის აველდდიო, ლერი პროჭი რო იყო, შენ რა შუაში ხარო... ყველა ბერიძეს კი არ ვერჩიო. აი, მაგალითად, მამამისი საოცარი, დარბაისელი პიროვნება გახლდაო. მერე მეც ვთქვი, რომ მამაჩემიც ბერიძეა. ასევე საკმაოდ დარბაისელი კაცი, რომელიც წლებია, სუპერმარკეტების ქსელ „გუდვილში“ მუშაობს და მისი მუშაობით ყველა კმაყოფილია. ამის გაგონებაზე გენერალი და პოეტი დაიბნენ. ჯერ სუპერმარკეტი რა ბედნააო, მერე გუდვილი რას ნიშნავსო, რა მურტალ რამეებს ამბობო, შენაო, ჰო არ შუგარყია, შვილოსან, ამ ჩაიხანაში ჯდომამო და მისთანები. გენერალმა, წესიერად მითხარი, ვისი შვილი ხარო. მერე მოკლედ მოუჭერი, რომ კოტე ბერიძის შვილი ვარ, რადგან რაც სათქმელი იყო, უკვე ყველაფერი ნათქვამი მქონდა და მაინც ვერ გაიგეს. ეჰეი, ახალგაზრდავ, მომცემ უფლებას, ბნკარი ნაკითხით? — გამომძახა პოეტმა, რაზეც მოკრძალებული თავის დაკვრით ვუპასუხე.

„იღგა მისი, მოვარდნენ ორნი... ჩემს შვილებს ჰკითხეს, სად არის მამა?! ერთს ეცვა გრძელი, ლაბადა ჩორნი, მეორეს ჰქონდა, ტანთ ფერთა გამა. მერე მომაგნეს, ხელთ წამეტანენ, და მომიყვანეს ამ ალაგს ღამით. ანტი-საბჭოთა ლექსების გამო, პასუხი ვაგე, ცოცხალი თავით...“

იმ დღეს მარიამ რამიშვილმა მეოთხე კლასი ფრიალზე დაამთავრა და ამით გაბედნიერებული როიალზე აბრაზუნებდა იენისის ბარკეროლას. ეს რომ აბრაზუნებდა, ისინიც აბრაზუნებდნენ და ამიტომ იყო, არავის რომ არ ესმოდა სახლში მათი ბრაზუნი, რაც მათ კიდევ უფრო აბრაზებდა და აბოროტებდა.

— მარიამა, გაჩერდი ერთი წუთით, კარზე აკაკუნებენ... — გაუბრაზდა გოგონას უფროსი დაიკო ნინო.

— თუ ისედაც ვაიგე, რომ აკაკუნებენ რალას მაჩერებ... — გაბრაზდა მარიამი.

— რამდენს ბედავ?! — აღმაცერად გადმოხედა ნინომ.

— გააღე, თუ აღებ! — ისევე ნამოიკივლა მარიამმა.

ნინომ კარი გააღო და წინ ორი ვერზილა აეფარა. ერთს გრძელი ტყავის ლაბადა ეცვა. მეორეს თეთრ პერანგზე მწვანე მუნდირი უნესრიგოდ ჰქონდა მოგდებული და მისის საკმაოდ ცხელ საღამოს სულ მთლად აყროლებულიყო ოფლის სუნად.

— ვინ გნებავთ? — იკითხა ნინომ.

— გამარჯობა, შვილი. რა გქვია შენა? — მახინჯურად გაიღიმა მწვანე მუნდირიანმა.

— მე ნინო... თქვენ რა გქვიათ? — მიამიტურად გამოჰკრა გოგონამ.


— მე კიდენა სარქისა მქვია. ჰეჰეჰე... — ისევე უშნოდ იღიმოდა მამაკაცი.

— ტიცინი რამიშვილი აქ ცხოვრობს? — საქმიანად იკითხა ტყავისლაბადიანმა.

— დიახ... — უპასუხა დაბნეულმა ნინომ.

— აბა, დაუძახე, ძიას ქალო, ტიცინასა, — ლაპარაკში კვლავ სარქისა ჩაერია.

— მარიამ, მამას დაუძახე! — უბრძანა ნინომ დას.



— მამაშენია ტიცინი? — იკითხა ტყავისლაბადიანმა.

— დიახ. შინ არ შემოხვალთ? — გოგონამ სტუმრები შეიპატიჟა.

— არა ძიას ქალო, გვეჩქარება ჩვენა. საქმეები გვაქს. მამას წავიყვანთ და წავალთ. ოღონდ ნუ გემინია, კიდევ მოვიყვანთ, — სარქისა გაცილებით ენაწყლიანი იყო, ვიდრე მისი მენყვილე.

— გამარჯობათ, ბატონებო, — კართან პოეტი ტიცინი რამიშვილი გამოჩნდა.

— საღამო, ტიცინი, საღამო, — ირონიულად მიესალმა ტყავისლაბადიანი.

— რამ შეგანუხათ, ბატონებო? — იკითხა ტიცინამ.

— ვერა ხვდები, არააა? ჰეჰეჰე... — იღრვივებოდა სარქისა.

— ჩვენ ბევრი რამ გვანუხებს, ბატონო ტიცინი. იმას, რაც გვანუხებს, ჩვენ ჩვენით ვაგვარებთ და თქვენ მაგაში დახმარებას ვერ გავგინევთ. ცუდი ის არის, რომ ზოგჯერ ისეთი რამ გვანუხებს, რომლის მოგვარებაც თქვენს შენუხებას გამოინვევს, აი, შემდეგ კი თქვენ აღარ გექნებათ იმის ძალა, რომ მოაგვაროთ ის პრობლემა, რომელიც განუხებთ. რადგან თუ მოაგვარებთ, ის ჩვენ შეგვანუხებს და ჩვენ არ დაუშვებთ, რომ რამე შეგვანუხოს. ჩვენ კი თქვენზე ძლიერები ვართ, — დამლული სიტყვის შემდგომ ტყავისლაბადიანმა შუბლი მოინმინდა.

— საოცრად რთული რეზუსები გცოდნიათ, ბატონო ჯალათო. მაგრამ არც ამოუხსნელი ეთქმის. და მაინც, როგორ აპირებთ ჩემს შენუხებას? — ტიცინამ პაპიროზს მოუკიდა.

— ნამოგყვეი, ჯიგარ, ეხლა და განახებთ. არ დაგზარდებით, — ნასასვლელად მოემზადა სარქისა.

— სად უნდა წამოგყვეთ? — იკითხა ასევე მზად მყოფმა ტიცინამ.

— ქალაქის განაპირას ერთი ულამაზო სოფელია. თუმცა არც მთლად მასეა საქმე.

არის უკაცრიელ ველებშიც ერთგვარი მშენიერება... — ტყავისლაბადიანმა ქუდი ჩამოიფხატა.

აბა, ელვირჩიკ, მიაბმე, როგორ ცხოვრობდი დოჰაში. სულ ჩაის ჰო არ უნდა დაატარებდე ელიზონდოების მოახლე ევასავით. ცოტა ხანი დამიჯექი და მელაპარაკე, როგორც კაცებს შეგეშენის. მე მიყვარს... ძალიან მიყვარს ისტორიების მოსმენა. მე მამაჩემის ყველა ძმაცაცის ყველა სექსუალური ისტორია მოსმენილი მაქვს. საოცარი იდოტობები იყო, ელვირჩიკ, მაგრამ როცა ისტორიების მოსმენა გიყვარს, აღარ დაეძებ მათ მხატვრულ ღირებულებებს. ალბათ რამდენი ამორძალი გინახავს დოჰაში. ანდაც რამდენი თრიაქით მთვრალი შეიხი დაგისვამდა გვერდით. შენ ხომ უნიკალური კაცი ხარ, ელვირჩიკ. შენ ის პოეტი ხარ, რომელიც არასდროს აქვეყნებს ლექსებს, რადგან არასდროს არსად ჩერდება და სამყაროს ყველა უდაბნოში უნახავს ოაზისი. შეიხებსაც მოუნდებოდათ შენთან ერთად ჯდომა, რადგან ათას ერთ ღამეს მხოლოდ შენ ფლობ ზეპირად და ამ საქმეში თვით ალიბაბაც კი ვერ შეგეჯიბრებდა. რას მახვევნივთ, ელვირ, მომიყვე, რა ხდებოდა დოჰაში. ნუთუ არასდროს ყოფილან შენს სასტუმროში ცნობილი ფეხბურთელები, ანდაც როკსტარები, რომლებსაც შეიხები მილიონებს უჯიბავდნენ, აქაოდა, ბნელი ხალხი ვართ და ცოტა გაგვანათეთო. ბნკარა პოეტო, აქამდე არასდროს მოგიტხოვია ჩაი. როგორც მახსოვს, ყელშიც გქონდა ამოსული. ახლა მოგიტოვა ელვირჩიკას წართმევა, როცა ასე მიწადა, მელაპარაკოს დოჰაზე?! არა, გასაგებია, მესმის, რომ აქ ვერაფრით ერთობით ჩაის სმის გარდა, მაგრამ მე მაგითაც ვეღარ ვერთობი და თუ ელვირჩიკა არ მელაპარაკება დოჰაზე, გავგიჟდები... გავგიჟდები,

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთნები არც თუ გემრიელ ყავას აკეთებენ. მაგრამ საავადმყოფო კაფე არ არის. საავადმყოფოში გემრიელი მხოლოდ ჰემატოგენი შეიძლება იყოს. ისიც მაშინ, თუ გამდნარი არ არის. ამიტომაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთნები ძალიან სწრაფად მუშაობენ, რამეთუ ყავის სმის გამო საქმეს არ აზარალებენ. არავინ დაკარგავს სამსახურს უგემური ყავის გამო... — მაია ექიმოოოო... მაია ექიმოოოო!!! — გაბრწყინებული სახით გარბოდა კორიდორში მედიცინის და კაი ბიჭის და ნანა ბიაშვილი.

— რა იყო, ნანიკო, რა მოხდა? — დაბნეულმა იკითხა პროფესორმა მაია კუნჭულიამ.

— ჩქარა, ჩქარა მეხუთეში... — ხელით ექაჩებოდა ექიმს მედა.

— რა ხდება მეხუთეში? — ნელა მიჰყვებოდა ქვეშევრდომს პროფესორი.

— ბერიძე კომიდან გამოდის! — ხტუნაობდა ნანა ბიაშვილი.

— აჰ, ბიჭი, რომელიც ქვემო ფონიჭალაში მოტოციკლით ტრაილერს შეასკდა... — ექიმს სახეზე კმაყოფილების ღიმილია გადაურბინა.

— რა მაგარია, არა?! — კითხულობდა განცვიფრებული მედა...





პეზა, თან როგორ! სულ რაღაც სამ გვერდშია ჩატეული ამოდენა რამის დასასრული და წითელი არმიის, ანუ კომუნისტების, შემოსვლა: ორი ახალგაზრდა წითელარმიელი ჯარისკაცი უკანა ეზოში დახვრეტს ახალ მთავრობასთან თავისი ფეხით მოსალაპარაკებლად მისულ ოდესის კრიმინალური სამყაროს ლეგენდარულ მოხუცს და უკვე პენსიაზე გასულ ლიდერს, ყალბ, ცალთვალა, ვეება ფროიმ გრაჩს და მერე მის ცხედართან მდგომი ეს ჯარისკაცები ოდესელი წითელარმიელი ბოროტის დანახვაზე დაინყებენ განხილვას:

— სუფთა დათვი... ეგ ის ძალაა, რო ვერ დაუდგები... ათი ტყვია უზის სხეულში და კიდე შენზე მოდის...
— მოიცა, რა. მოკვდა და მორჩა, ყველა ერთია...
— ყველა ერთი არაა, ზოგი გეხვეწება, ზოგი ყვირის, ვილაცა ხმას არ ამოიღებს. ეგრე როგორ შეიძლება, რო ყველა ერთი იყოს?!

— ჩემთვის ყველა ერთია, — ჯიუტად იმეორებს უფრო ახალგაზრდა, — ყველა! მე მაგათ არ ვანსხვავებ...
და მერე ეს ბოროტი, ყველასგან მოშორებით რომ ზის ცალკე, და ამ წითელარმიელების უფროსი სემიონი რომ ეუბნება: უბრალოდ, როგორც ჩეკისტმა, როგორც რევოლუციონერმა, მითხარი, რაში სჭირდება ასეთი ადამიანი მომავალ საზოგადოებას? და ეს რომ პასუხობს — არ ვიცი, ალბათ არც სჭირდება!

მერე კი თავს ძალას დაატანს, გამოცოცხდება და ისევ დაუნყებს მოსკოვიდან ჩამოსულ და ოდესის სრულიად არმცოდნე ჩეკისტებს ფროიმ გრაჩის, ანუ ოდესის კრიმინალური ისტორიის მოყოლას:

„მის მოხერხებულობაზე, მოუხელთებლობაზე, მის ადამიანებისადმი სიძულვილზე, ყველა ეს წარმოუდგენელი ისტორია, რომელიც წარსულისკენ დაიძრა!“

„ოდესური მოთხრობები“ 1923-24 წლებში იბეჭდებოდა, წიგნად კი მერე, 1931 წელს შეიკრა და მგონია, რომ სწორედ „ფროიმ გრაჩმა“ მისი ბავშვობის სამყაროს დაღუპვის მოთხრობამ დაღუპა ბაბელიც, იმიტომ, რომ უკვე ყველა მიხვდა — ეს კაცი ცუდად ვერ დაწერდა — რომ ცხოვრებაში ბევრ რამეზე მოანერინებდნენ ხელს, ფურცელზე კი — ვერა, სიკვდილის შიშითაც კი...

დანარჩენი დროის ამბავი იყო.
ბაბელს 1939 წლის დილის ხუთ საათზე მოაკითხეს, იჯდა ცოლთან ერთად და უყურებდა, როგორ ტენიდნენ უზარმაზარ პაპკაში მის ხელნაწერებს.

— ცოტა გძინავთ, არა? — ოდესურად გაპკრა კბილი თვალბზანთილებულ ახალგაზრდა ჩეკისტს.

ყველაფერი ვერ უარყო, გატყდა და სხვებს დაადო ხელი, თუმცა მერე წერილით მიმართა სასამართლოს, ნამებით ამომგლიჯეს ეგ ჩვენებები.

როდოსმა, ჩეკისტმა რომელმაც ბაბელი აწამა და 1956 წელს გაასამართლეს, კითხვაზე, იცოდა თუ არა ვინ იყო ბაბელი, უპასუხა, მითხრეს, მწერალიაო. ერთი ბნკარი მაინც წაიკითხეთ მისი ნაწარმოებიდანო? რაში მჭირდებოდაო? როდოსმა მოხუც მწერხოდს მოტეხა ხელი და პირში ჩააფსა.

ბაბელი კი საპყრობილიდანაც ერთს ითხოვდა, დასამთავრებელი მაქვს რაღაცა და წერის უფლება მომეცითო. ამბობენ, ის რომანი იყო, რომლის გამოც დადიოდა ეყოვთან, რომანი ჩეკისტზე, იმაზე, თუ როგორ ხდება ძალაუფლებაში მოსული პატარა კაცი სადისტი.

ისააკ ბაბელი 1940 წელს ღამით წმინდა ეკატერინეს სატუსალოდ ქვეული ტაძრის სარდაფში დახვრიტეს. მისი არქივი დაკარგულია...



მაკა ცხვედიანი

ქალაქელი ბელურები

დასასრული

მაისში ოთო გავაცანი ჩემებს. დედამ ტოლმა მოამზადა, ნატუკამ — ჩემმა დამ — ქათმის სალათი და რაღაც დესერტი შევლეთი.

ოთო არანორმალურად საყვარელია. იცის ჩემი და ნადიას დიალოგი და სტუმარს ბედნიერი რომ შეეგება, თვითონაც ჰკითხა:

- გამარჯობა, მამიდა, მიცანი, ვინ ვარ?
- ჩემი სიცოცხლე ხარ შენ!

*

დღისით შავ-თეთრ ზუნტყლიან გაზეთებში თავით ჩაყუდებულს ღამ-ღამობით მესიზმრება, რომ ოთოს აცვია სალათისფერი შორტი და მის ქვეშ — ყვითელი ტრუსი, მე მხდის ატმისფერ სარაფანს და ცალი ხელით ნიკაპს მიჭერს, ტურნებში მკოცნის, ცალით ჟოლოსფერ ლიფს მისხნის და თავისუფლებას ჩუქნის ძუძუებს, ასე რომ მოსწონს. მოგვიანებით ამ სიზმარს ოთოსთან ისე ვყვები, როგორც მხსნელ მინიშნებას სკოლის დაფასთან დგომისას. ვითომ ეს მინიშნება წყვეტდეს რამეს. არადა, რა მინიშნება უნდა, როცა მიყურებს, ვუყურებ და ზუსტად ვიცი, სინქრონული განცდა გვაქვს იმის, რომ ვერასდროს მოვიკლავთ ერთმანეთის ყურებისა და შეხების ჟინს.

*

უკვე ინათა და ღია ვარდისფერი, ალაგ-ალაგ დაცრეცილი ხავერდისმაგვარი ფარდებიდან შემოპარული მზე ჩვენს დალიანდაგებულ ფიროზისფერ საბნებზე ცეკვავს და ცეკვავს. მეღვიძება. ნატუკას სძინავს. მე თვალს ნელ-ნელა ვუშტერებ ძველ, აქერცლილ შპალერზე აჩემებულ გეომეტრიულ ფიგურას და ბევრ რამეზე ერთდროულად მეფიქრება: რომ ახალი წელი მოდის და ჩემი და ნატუკას დუეტს კიდე რამდენიმე რეპეტიცია აქვს გასავლელი კონცერტამდე; რომ ახლა მაინც მოგვთხოვს ქოთქოთა ნადია ანგრეული ჩვენი ოთახის დალაგებას; რომ ნაძვის ხის სათამაშოები მოგვიძვლდა და ჩვენი ნაძვის ხე წელსაც არაფრით ემგვანება „აძინ დომამი“ ნანახ ნაძვის ხეს. ჩვენი ოთახიც, რამდენიც უნდა ვალაგოთ, კედლებ და ფარდებგაცრეცილი, თბილისურად სევდიანი ოთახი იქნება და მეტი არაფერი.

მაგრამ ჩვენ ამ ოთახში სანერ მაგიდებს დაგვიდგამენ. აქ ვისწავლით ლადო ასათიანს და ფრეზენტ ინდეფინის, მოვუსმენთ „დორსს“ და ბობ მარლის, წავიკითხავთ წიგნების მთელ თაროს და ავიჩემებთ ვან გოგის წერილებს. „ყველაფერი ეს ჩვენ ორივემ ერთად შევქმენით.“

ხო, ყველაფერი ეს ჩვენ ორივემ ერთად შევქმენით. ამ მომრგვალებულ ზურგიან სკამზე ყოველ საღამოს უცვლელად ელაგა საგულდაგულოდ ჩალაგებული ჩვენი სკოლის ჩანთები, მაგიდაზე წიგნები და ფურცლები იყო მიმოფანტული. კუთხეში ძველებური პლასტმასის საფანქრე იდგა.

*

გულგახეთქილს მეღვიძება. მგონია, რომ მადვიდარამ არ დარეკა და დავიგვიანე. მახსენდება, რომ შაბათია, მაგრამ გამოვფხიზლდი.

ერთ კვირაში რემონტი დამთავრდება. ნატუკას სძინავს, დაქანცულს მთელი კვირის მუშაობით. ტირილამდე მინდა, უკან მიბრუნება შემეძლოს. მოვიკიდები ხელს ორ პატარა გოგოს — ერთს ხუჭუჭას, ერთს — სწორთმინანს,

დავაყენებდი ჩვენი ოთახის ზღურბლზე და იმათი თვალით დავათვალიერებდი ცისფერ შპალერს, ახალ იატაკს.

დედა, რამ გავალვია ამ დილაუთენია, არ შემოიხედო, ვჭირი იმიტომ, რომ შეიძლება, ყველაფერი აგისდეს, მაგრამ გვიან იყოს და აზრი აღარ ჰქონდეს, აღარ გინდოდეს. ამიტომ მზად ხარ, დაუთმო ოცნების ასრულება იმას, ვისაც ძალიან ეჩქარება. მზად ხარ, ჩაეხუტო ახალ, უცხო სივრცეში მთლად უმისამართოთ დაკარგული ნადიას და მთელი არსებით მიუტევეო ჩუმიად დაჭრილი და დამწვარი საყვარელი კაბები.

*

ისე ცხელა, რომ ჯობს, მტვერი ისუნთქო, ვიდრე ამ პირბადეს ამოახრჩობინო თავი. ზოგჯერ მგონია, რომ საკუთარი თავიდან გავდივარ და გვერდიდან ვუყურებ კადრის სიურეალისტურობას: ქარხნის ეზოში დახვავებულ ტონობით ქალაქს შესული ორმოცდაათამდე ადამიანი. ფურცლების სასაფლაო. მტვერიანი ცხვირებისა და რეზინის ხელთათმანების სამყარო. თითქმის სულ ახალგაზრდები ვართ და თვითონაც ვიარებ, რომ აქ ვერაფერი გავაჩერებს, თუ არა ახალგაზრდული ჟინი.

და გაგანია შუადღეზე ვფიქრობ, რომ ერთ დღეს, ალბათ, ძალიან უნდა გაბრაზდე შენს ცხოვრებაზე იმისთვის, რომ ადგე და შეცვალო რამე. სამინლად უნდა გაბრაზდე, რომ ყველაფერი შეცვალო. მე კი ვერა და ვერ გავბრაზდი ამდენი სექსისა და რელაქსის ფონზე; ოთოს მანქანის უკანა სავარძელზე ღამის მინურული ზაფხულის ფონზე.

ავვისტოს ბოლო კვირაში გონიოში წავალთ მე და ოთო, კარგ ზღვაში ვიცურავებთ და საღამოობით ბათუმში გავისეირნებთ ხოლმე. ამ ფიქრს ვუღიმი დამტვერილი ტურებით და თან იმასაც ვფიქრობ, რომ ცხოვრებასაც აქვს თავისი ჭუჭყი და მტვერი და საკუთარი ღრმად-ფილოსოფიური მიგნებები მახალისებს სულელივით, არაადეკვატურად.

*

ზოგჯერ ოთოს რომ ვუყურებ, ღამის დავიჯერო, საშუალოსტატისტიკურ გოგოებს მართლა რაღაც განსკუთრებული ჟინი აქვთ მაგარი ბიჭების გამოჭერის. ზოგჯერ მეც არ მჯერა, რომ ასეთ ბიჭს ვკოცნი. და ამ ბიჭს ჰქვია მოკლე სახელი — ოთო, ჩალისფერი თმა აქვს და მკერდზე საერთოდ არ აქვს თმები.

ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მგონოდან რომ დავბრუნდები, აუცილებლად წამოვალ ამ სამსახურიდან. სხვა სამსახურს ვიპოვი, ბევრი ფული მექნება და ვიმოგზაურებთ ყველგან, სადაც ვინატრებთ. იმასაც ვფიქრობ, რომ ოთოს გამოჩენით თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დგება და ასეთი მამოტივირებელი ეფექტი მხოლოდ სიყვარულს აქვს ცხოვრებაში, სხვას არაფერს.

ღამე იწვიმა. ბელურებს ჭყლოპინი უდგათ შეგრილებულ ჰაერში. მიყვარს შემოდგომაზე ისე რომ შეიყუყუბიან ხოლმე ნანვიმარი ხის მოშიშვლებაშეპარულ ტოტებზე, როგორც გარდერობის ზედა თაროზე — ჩემი ჭრელი სარაფნები.

შენ, ჩემი შეყვარებულის ყოფილო შეყვარებულო, ნეტა ხანდახან მაინც არ მოგწყურდება ხოლმე ოთოს ალერსი? იცი, რომ ზოგჯერ, როცა მე მის ყელს თვალდახუჭული ისე ვლოკავ, როგორც სტრაჩატელას, ისეთი განცდა მიჩნდება, რომ დაგაგოიმე?

შენ გიხდება ლურჯი ფერი და მე მიხდება ყვითელი. და ჩემს ყვითელ სარაფანს გახდაც არ უნდა. ააფრი-ალე და ეგაა.

მომწონს, რომ ამ ქალაქში ერთად ვცხოვრობთ მე და ბელურები.

